# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი პარასკევი 26 იანვარი 2007 №16 (2939) ფასი 50 თეთრი




AFP

## დღევანდელ დიუსელდორფის ფინალში ქართველები ფრანგულად ითამაშებენ

დღეს უეფას ახალი შეფი ეყოლება... თუმცა არა, ახალი შეფი უეფას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეყოლება, თუ დიუსელდორფში მიმდინარე ყრილობაზე 52 ფედერაცია-ასოციაციის პრეზიდენტთა ხმების უმრავლესობას 51 წლის ფრანგი მიშელ პლატინი მიიღებს. იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო ევროპა 77 წლის ლენარტ იუჰანსონს მიემხრობა, საქმეები ისევ იმ ადამიანს ჩაბარდება, რომელიც უეფას 1990 წლიდან მართავს.

სხვა კანდიდატი არ არის.

ასაკის გარდა რა განსხვავებაა პლატინისა და იუჰანსონს შორის?

წინასაარჩევნო პროგრამებიდან ისე ჩანს, რომ პირველი უფრო ღარიბი ქვეყნებისკენ და კლუბებისკენ იხრება, მეორე კი მდიდართა კიდევ უფრო გამდიდრებას მფარველობს, თუმცა ნათქვამია, საქმემან შენმან გამოგაჩინოსო.

კარგა ხანია, იუჰანსონი ჩანს და ძალიან კარგადაც, ხოლო პლატინი... თუ გაიმარჯვებს, ჯერი მასზე იქნება.

Evening News
THE EDINBURGH PAPER

## ცნობები ბრიტანეთიდან

## გოგუა ჰართსელია



ედინბურგული გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ იუწყება, რომ გოგიტა გოგუამ უკვე გააფორმა კონტრაქტი ედინბურგის „ჰართსთან“, BBC კი დასძენს, რომ გარიგება ბოლომდე მიყვანილი არ არის.

„ივნინგ ნიუსის“ ცნობით, გოგუა ბრიტანეთში მუშაობის უფლების მიღებას ელის და უნდა ვივარაუდოთ, რომ BBC ამის გამო არ მიიჩნევს შეთანხმებას დასრულებულად, რამეთუ თვითონ BBC-იც გვატყობინებს, რომ გოგუამ ექვსთვიანი საიჯარო კონტრაქტი გააფორმა „ჰართსთან“.

„ივნინგ ნიუსით“ კი ვიგებთ, რომ გოგუა ჯერ ზაფხულამდე დარჩება „ჰართსში“ — ასეთია კონტრაქტის ვადა ანუ გოგუა სეზონის ბოლომდე იქნება „ჰართსში“ კონტრაქტის გაგრძელების პერსპექტივით

„ივნინგ ნიუსში“ მოყვანილია „ჰართსის“ თავკაც ვალდას ივანაუსკასის სიტყვებიც: „გოგუა და ლარი კინგსტონი ზაფხულამდე ჩვენთან იქნებიან და ამის შემდეგ მათთან გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმებას ვაპირებთ.“

## კონტრაქტიანი თხა ანუ კალჩოპოლი 2



გაგონილა?! ფეხბურთელი თხასავით გაყიდეს და ახლა მყიდველ-გამყიდველს, „ინტერს“ და „მილანს“ ბრალდება თუ დაუმტკიცეს, ეგებ ქულებიც ჩამოაჭრან.

იტალიის ფედერალური პროკურორი სტეფანო პალაცი მილანურ კლუბებს ბრალს საბუთების გაყალბებაში სდებს. ეს ამბავი გუშინ გაირკვა, საქმე კი ასე იყო: „მილანმა“ 23 წლის მეკარე სიმონე ბრუნელი 2003 წლის ზაფხულში „ინტერს“ მიჰყიდა. ვინაა ბრუნელი, საქართველოში კი არა, ალბათ მილანშიც ძალიან ცოტამ თუ იცის, რადგან 2004 წლიდან ტრავმის გამო არ უთამაშია. და საიდან გაიგო მეკარემ გუნდის გამოცვლის შესახებ? გადაშალა გაზეთი და ნახა, რომ თურმე „მილანის“ კი არა, უკვე „ინტერის“ ფეხბურთელია, გაშანშალებული კონტრაქტი კი... სახლში მიართვეს.

ვინ მოაწერა კონტრაქტს ხელი მის მაგივრად, ალბათ, მხოლოდ ეშმაკმა, ადრიანო გალიანიმ და მასიმო მორატიმ იციან.

„გაშანშალებულში“ ეწერა, რომ „ინტერმა“ „მილანისგან“ 2 მილიონ გირვანქად იყიდა ფეხბურთელი და ბრუნელის თავისი ფასი გაუკვირდა, რადგან მისი ჯამაგირი თვეში 1700 გირვანქა იყო. ამ საქმეში გადის „ინტერის“ ჩინოვნიკი გაბრიელე ორიალი, რომელიც ამ შემთხვევაში, სავარაუდოდ, შემსრულებელია.

მთელი ეს ამბავი კი პროკურატურას თხასავით გაყიდულმა მეკარემ აცნობა, ვინც ამჟამად „ვისპეზაროშია“ განათხოვრებული.

პროკურორმა სტეფანო პალაციმ გამოძიება დაასრულა და თავისი საქაღალდეები იტალიის ფეხბურთის სადისციპლინო კომისიას და ფედერალურ კომისიონერ ლუკა პანკალის გადასცა, რომლებიც გაარკვევენ თაღლითობის ამბავს და გამორიცხული არ არის, „ინტერს“ და „მილანს“ ქულები დააკლონ.

და ერთი ცინცხალი ამბავიც: ესპანური „მარკას“ და იტალიური „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, წუხელ მადრიდის „რეალის“ ბრაზილიელი ფორვარდი რონალდო მილანში ჩავიდა. თუ „კიჭამ“ სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა, „მილანთან“ წლინახევრიან კონტრაქტს გააფორმებს. შავ-წითლებს კი ეს ტრანსფერი 7,5 მილიონი ევრო დაუჯდებათ.



## რონალდო კი თითქმის მილანელია: ექიმების სიტყვა და 7,5 მილიონი ევრო

# დინამომ შახდაგი წუთებში დააშამათა

## დუშან უჰრინმა ახლებს „კარგი“ უთხრა

**დინამო 2:0 შახდაგი**

1:0 ალიბაბაევი (13. ს. კ.), 2:0 ფეიქრიშვილი (19)

**დინამო:** ლორია, ლ. ნოზაძე (შ. კაშია 46), გ. კაშია, გიგაური, გარკუშა (აკობია 63), ზ. ჯანაშია (ხუციშვილი 46), დიღმელაშვილი (ხმალაძე 46), გ. მერებაშვილი (დ. ოდიკაძე 46; გუგავა 84), ს. კობახიძე (ჩირიკაშვილი 18), ს. იაშვილი (ჯ. დვალი 46), ფეიქრიშვილი (კაკალაძე 60)



**ტესტ-მატჩი** რომ არა, დუშან უჰრინის „დინამო“ აზერბაიჯანული „შახდაგისგან“ ქვას ქვაზე არ დატოვებდა. ჩეხმა მწვრთნელმა შეცვლებიც ბლომად აკეთა, ერთი-ორჯერ ტაქტიკაც გადააწყო და სანამ ამას გააკეთებდა, თამაში უკვე მოგებული ჰქონდა.

მე-13 წუთზე სანდრო იაშვილმა ბურთი მკერდზე მიიღო, ერთი აზერბაიჯანელი იქვე ჩამოიშორა და ალიბაბაევს საკუთარ კარში გაატანინა. ექვს წუთში კი თითქმის უკვე დინამოელმა გიორგი ფეიქრიშვილმა იხეირა — სამსვლიანი კომბინაცია საშუალო მანძილიდან ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა.

„დინამო“ ხვალ ანთალიურ შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც 7 თებერვლამდე დარჩება და ხუთ ტესტ-მატჩს გამართავს. სავარაუდო მეტოქეები და თამაშების კალენდარი კი ასეთია: 29 იანვარს უკრაინულ „ილიჩევეცთან“; 31 იანვარს უკრაინულ „ვორსკლასთან“; 2 თებერვალს უკრაინულ „კარპატისთან“; 4 თებერვალს უზბეკურ „მაშალისთან“; 6 თებერვალს სამხრეთკორეულ „პოანგთან“.

სწორედ ანთალიაში შეუერთდებიან გუნდს ავსტრალიელი ნედ ზელიჩი და სლოვაკი მილოშ კრშკო. პირველი მათგანი ფრანკფურტშია, მეორე — სლოვაკეთში.

ახლა კი ორ პოტენციურ დინამოელზეც ვთქვათ, რომლებმაც „შახდაგთან“ ითამაშეს — ორივე 23 წლისაა; „ვიტ ჯორჯიადან“ გადაყვანილი შემტევი გიორგი ფეიქრიშვილი და ბელარუსული ბატედან ჩამოსული მარცხენა მცველი რომან გარკუშა. როგორც შევიტყვეთ, მათი ოფიციალურად გადინამოელება დღეს გადაწყდება, თუმცა უკვე შეგვიძლია, ფეიქრიშვილს დუშან უჰრინის გუნდის ფეხბურთელი ვუწოდოთ.

და ერთიც, გუშინ დიღმის ბაზაზე ივარჯიშა თბილისის „ლოკომოტივისა“ და რუსთავის „ოლიმპის“ ყოფილმა ფორვარდმა ირაკლი სირბილაძემ. გეცოდინებათ, იგი ამ ორიოდ კვირის წინ ქუთაისის „ტორპედოში“ გადავიდა, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, დიდი შანსია, ტანმაღალმა სირბილაძემ „დინამოს“ მაისურა მოირგოს.

ნამატჩევს *დუშან უჰრინს* მცირე კომენტარი ვთხოვეთ...

— პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, გოლიც გავიტანეთ... მეორე ტაიმი კი პასიური იყო.

**— ფეიქრიშვილის და გარკუშას თამაშს როგორ შეაფასებთ?**

— ქართველმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რაც შეეხება ბელარუს ფეხბურთელს, ვფიქრობ, ისიც კარგი მოთამაშეა.

**— ვინც დღეს ითამაშა, შეკრებაზე ყველა მიგყავთ?**

— ვინ წავა და ვინ დარჩება, ხვალ გადავწყვეტთ.

**ილია ნანობაშვილი**
**სალომე ხარატიშვილი**



# თოთლაძემ დინამო ჯერ არ იცის

*თბილისის „დინამოს“ მეკარე ირაკლი თოთლაძეს სამართალდამცავებთან შექმნილი პრობლემების გამო ორი თვე გაუცდა, თუმცა იმედს არ კარგავს, რომ სასურველ ფორმას მალე აღიდგენს.*

*„ბათუმიდან“ „დინამოში“ დაბრუნებულ ირაკლის დიღმის ბაზაზე შევხვდით...*

— „ბათუმიდან“ წამოვედი, რადგან ისევ თბილისის „დინამოს“ ვეკუთვნი. სამწუხაროდ, ორი თვე გამიცდა და ახლა ფორმის აღდგენას „დინამო 2-ში“ ვცდილობ.

**— არის შანსი, რომ ძირითად შემადგენლობაში გადაგიყვანონ?**

— დუშან უჰრინს მხოლოდ ორი წუთით თუ დაველაპარაკებივარ და ამის თაობაზე არაფერი ვიცი. ვნახოთ...

**— თუ ასე არ მოხდა?**

— ჯერ არ ვიცი, რა მოხდება, თუმცა თუ „დინამოში“ ჩემი ადგილი არ მოიძებნა, მირჩევნია, ისევ სხვა გუნდში გამანათხოვრონ.

**სალომე ხარატიშვილი**

# ნაცნობი და უცნობი





*საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი უდაძბულეს ფინიშს გვპირდება, თუმცა ფავორიტი ხუთეული ხვალ ოთხეულად თუ იქცევა, ნურავის გაუკვირდება: „ვიტ ჯორჯიამ“ ჯერ დავით დიღმელაშვილი, ახლა კი გიორგი ფეიქრიშვილიც მოისაკლისა. 23 წლის ფეიქრიშვილმა „დინამოს“ მაისურით „შახდაგთან“ ამხანაგურ მატჩში გოლიც შეაგდო და ნამატჩევს დუშან უჰრინის ქებაც დაიმსახურა...*

— „დინამოში“ გადასვლისას ფინანსური მხარისთვის ნაღდად არ მიმიქცევია ყურადღება. „დინამოში“ თამაში ჩემი სურვილი იყო. მერე რა, რომ გუნდი მეხუთე ადგილზეა...

**— კონტრაქტს როდის გააფორმებ?**

— ჯერ არ ვიცი. ალბათ „დინამოს“ ანთალიურ შეკრებაზე გავყვები. არც ის ვიცი, რამდენწლიანი იქნება კონტრაქტი. მცირე დეტალებიღა დარჩა და...

**— „ვიტ ჯორჯიაში“ კონტრაქტი დაგიმთავრდა?**

— დიახ, თავისუფალი აგენტი ვარ.

**— „დინამომდე“ კრივოი როგის „კრივბასში“ იყავი გასინჯვაზე, სადაც ერთი მატჩი ჩაატარე და გოლიც გაიტანე. რა მოხდა, რატომ იუარეს შენი აყვანა?**

— დღეს რომ „შახდაგთან“ ვითამაშე, ამაზე ბევრად უკეთ ვითამაშე იმ ამხანაგურ მატჩში, მაგრამ მწვრთნელი, რომელმაც მე ჩამიყვანა, მოხსნეს, ახალმა კი თავისი ფეხბურთელები მიიყვანა გუნდში.

**— ამის გამო გული გწყდება?**

— ასე ვერ ვიტყოდი. უბრალოდ, „კრივბასი“ უკეთეს ჩემპიონატში თამაშობს, თორემ „დინამო“ „კრივბასზე“ ნაკლები დონის გუნდი არაა.

**— „ვიტ ჯორჯიაში“ უმეტესად ფლანგზე თამაშობდი, „შახდაგთან“ კი განსხვავებულ პოზიციაზე იყავი...**

— დღესაც ინსაიდად ვთამაშობდი, ოღონდ ოდნავ ცენტრში ვიყავი შეწეული. ამ პოზიციაზე ყველაზე უკეთ გამომდის თამაში.

**— „დინამოს“ მიზანი ჩემპიონობაა და ვის თვლი მთავარ კონკურენტად?**

— ვფიქრობ, ვინც ცხრილის ზედა ნაწილშია, მეტ-ნაკლებად, ყველას თანაბარი შანსი აქვს. ეგაა, „ოლიმპი“ ლიდერია და შესაძლოა, ამ ეტაპზე ფავორიტად ის ჩაითვალოს.

*ბელარუსმა რომან გარკუშამ „შახდაგთან“ მარცხენა მცველად ითამაშა და მართალია, შეტევაში იშვიათად ერთვებოდა, მაგრამ დაცვაში ჯანიანად იდგა...*

— „დინამო“ კარგი, ორგანიზებული კლუბია. ვიცი ამ გუნდის ტრადიციების შესახებ.

**— ახალ თანგუნდელებს შეეწყვე?**

— პრობლემა არ ყოფილა. ძალიან მომეწონა „დინამო“, ოღონდ არ ვიცი, მწვრთნელი რა აზრის დარჩა ჩემს თამაშზე.

**— ბოლოს ბატე-დან განათხოვრებული იყავი ბელარუსის პირველი ლიგის გუნდში. ახლა თავისუფალი აგენტი ხარ?**

— არა, მაგრამ, თუ „დინამომ“ ჩემი აყვანა გადაწყვიტა, პრობლემა არ იქნება — ულაპარაკოდ გამომიშვებენ.

**— „შახდაგთან“ თამაშზე რას იტყვი?**

— აშკარად ვაჯობეთ მეტოქეს და უფრო დიდი ანგარიშით მოგებაც შეგვეძლო.

**ილია ნანობაშვილი**

# A და B მსაჯები

**7 თებერვალს** საქართველოს ეროვნული და B ნაკრებები რომ თურქებს გაეჯიბრებიან, აქამდეც არაერთხელ გამცნეთ.

ახლა კი ის ვთქვათ, ვინ განსჯის ამ მატჩებს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველო — თურქეთის ეროვნულ ნაკრებთა მატჩს ლატვიელი მსაჯები მოემსახურებიან. არბიტრი რომან ლაიუკსი იქნება, თანამსაჯები — სერგეი ბრაგა და იანის პუკიანისი, მეოთხე მსაჯი კი ქართველი დავით ხარიტონაშვილია.

რაც შეეხება B ნაკრებთა მატჩს: მთავარი მსაჯი ლევან ფანიაშვილი, თანამსაჯები — გიორგი ყრუაშვილი და გიორგი დოგრაშვილი, სათადარიგო — ლალი გახოკია.

ეროვნულ ნაკრებთა მატჩი „ეროვნულზე“ გაიმართება, B ნაკრებები კი „მიხეილ მესხზე“ შეხვდებიან ერთმანეთს.

**კახა შალამბერიძე**

# ლოკომოტივის უცვლელი მოტივი

**ორიოდ** დღეში შეკრების პირველ ეტაპს დაასრულებს თბილისის „ლოკომოტივი“. ამ ბოლო დღეებში რკინიგზელთა შემადგენლობაში ცვლილება აღარ მომხდარა და, როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ამირან მინაშვილმა გვითხრა, სწორედ ამ შემადგენლობით დაიწყებს მეორე წრეს...

„ბირთვი უკვე ჩამოყალიბებულია და შეცვლას აღარ ვაპირებთ. პირველ ეტაპს ქუთაისის „ტორპედოსთან“ საკონტროლო მატჩით დავასრულებთ, მერე ცოტას დავისვენებთ და მეორე შეკრებისთვის მოვემზადებით, რომელსაც ბათუმში ან ურეკში გავივლით“ — გვითხრა მინაშვილმა.

მინაშვილმა ისიც გვითხრა, აქცენტს ჭაბუკთა ლიგაში მოთამაშე გუნდზე გადავიტანთ, რათა მომავალში შევსება ადგილობრივი კადრებით მივიღოთო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**იტალია**
თასის 1/2 ფინალი. I მატჩი
მილანი 2:2 რომა

**საფრანგეთი**
I დივიზიონი. XXI ტური
ნანსი 0:2 სენტ ეტიენი

**ჰოლანდია**
თასის მეოთხედფინალი
როდა 2:1 ალკმაარი (მ)
პსვ ეინდჰოვენი 3:2 იგლსი

**ამხანაგური მატჩი**
სალვადორი 1:0 დანია



გრიგოლ დოლიძე ჰეთ თრიქით გამოირჩა

# ამერი ანთალიაში პოკერით წავიდა

**ამერი 4:0 მერანი**

1:0 დოლიძე (42), 2:0 გაბისკირია (61), 3:0, 4:0 დოლიძე (72, 80)

**ამერი:** პირველი ტაიმი — ქვაჩახია, დიდავა, დავითნიძე, კაკაშვილი, ელბაქიძე, დოლიძე, მესხი, დეკანოსიძე, დ. მჭედლიშვილი, ს. დავითაშვილი, ჩიმაკაძე
მეორე ტაიმი — ლ. ნადირაშვილი, ფირანიშვილი, გვაძაბია, ხვადაგიანი, ჩიკვილაძე, ჯელაძე (დოლიძე 64), დობროვოლსკი, ბოლქვაძე, ნიკოლაიშვილი, რ. წინამძღვრიშვილი, გაბისკირია

**მერანი:** სეფიაშვილი, თ. მჭედლიშვილი, ლ. გრიგალაშვილი, თურქია, ოსიტაშვილი, ბესარაშვილი, ფურთუხია, ბურჯანაძე, ჩაჩიბაია, გაგუა, სიხარულიძე
*შეცვლაზე შევიდნენ: გლუნჩაძე, ტომარაძე, უსენაშვილი, კობერიძე, ნეფარიძე, დევიძე, დეისაძე, ი. ქემაშვილი, ზირაქიშვილი*

**თბილისის** „ამერი" დღეს მეორე, ორკვირიან ანთალიურ შეკრებაზე გაემგზავრა და ჩემპიონატისთვის მზადების დასკვნით ეტაპს იქ გაივლის. „ამერი" თურქეთში 23 ფეხბურთელით მიემგზავრება და ოთხ-ხუთ ამხანაგურ მატჩს გამართავს. ჩვენები ჯერ ხორვატიულ „სლავენ ბელუპოს" შეხვდებიან, შემდეგ რუმინულ „გლორიას", ხოლო დანარჩენ მეტოქეებს ადგილზე შეუთანხმდებიან. ანთალიაში წასვლამდე კი „ამერმა" გუშინ საგურამოს საწვრთნელ ბაზაზე „მერანი" ისტუმრა და დაუნდობლად მოუგო — 4:0.

ეს ამხანაგური შეხვედრა ორივე გუნდმა ორ-ორი შემადგენლობით ჩაატარა. „ამერს" ანთალიაში სწორედ ის ფეხბურთელები მიჰყავს, რომლებმაც გუშინ ითამაშეს და ერთიც ისეთი, ვინც ტრავმის შემდეგ მსუბუქად ვარჯიშს ახლახან შეუდგა და „მერანთან" არ ყოფილა — დიმიტრი ტატანაშვილს სრულფასოვანი ვარჯიში ანთალიაში შეეძლება. აი, „მერანის" გუშინდელი შემადგენლობიდან კი ნახევარს ალბათ გუნდთან დამშვიდობება მოუწევს. მწვრთნელ სერგო კუტივაძის თქმით, მზადების პირველ ეტაპზე „მერანში" 80-მდე ფეხბურთელი ისინჯებოდა, შემდეგ ეს რაოდენობა განახევრდა, ხოლო ახლა კიდევ ბევრს მოუწევს „მერანიდან" აბარგება. კუტივაძემ ისიც დასძინა, დღეს პირველად ვივარჯიშეთ ბალახისსაფარიან მოედანზეო. „ამერს"კი გუშინდლამდე ერთი ანთალიური შეკრება უკვე მოთავებული ჰქონდა და, აბა, რა გასაკვირია, საგურამოს მატჩში მასპინძლები უდიდეს უპირატესობას რომ ფლობდნენ და მეტოქეზე აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ.

გიორგი ჩიხრაძემ საპირველტაიმო შემადგენლობაში ორი თავდამსხმელი დააყენა. შუა ხაზში ოთხნი იყვნენ, ოთხნიც — დაცვაში.

„მერანის" განლაგება-შემადგენლობაზე უკვე ხსენებული მიზეზის გამო, არაფერს ვიტყვით, მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ სტუმრები პირველ ტაიმში მეტ-ნაკლებად გაუძალიანდნენ მასპინძლებს, აი, შესვენების შემდეგ კი...

შესვენებამდე „ამერს" თავდასხმაში დავითაშვილ-ჩიმაკაძის დუეტი ჰყავდა. მართალია, არც ერთს არ გაუტანია, მაგრამ საამისოდ ხუთი-ექვსი ჩინებული შანსი კი ჰქონდათ.

გოლი კი გრიგოლ დოლიძემ გაიტანა, ვინც მეკარესთან პირისპირ დარჩა და უნაკლოდ დაარტყა.

მეორე ტაიმში ჩიხრაძემ სქემა გადააწყო. ხუთი ნახევარმცველიდან შუაში გაბისკირია, ბოლქვაძე და დობროვოლსკი თამაშობდნენ, წინ წინამძღვრიშვილი იყო.

სათქმელია, რომ შესვენების შემდეგ „მერანს" ნადირაშვილის კარისკენ არ დაურტყამს, ხოლო გაბისკირიამ „ამერის" მაისურით პირველი გოლი გაიტანა. კიდევ ორი გოლი კი იმავ დოლიძემ შეაგდო — მახვილგონივრული პასები ბოლქვაძისა იყო.

ისიც ვთქვათ, რომ შესვენებაზე სხვებთან ერთად დოლიძეც შეიცვალა, მაგრამ შემდეგ გიზო ჯელაძეს წელი ასტკივდა. თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო, დოლიძეც მოედანს დაუბრუნდა და შეხვედრა ჰეთ თრიქით ჩაამთავრა.

„მერანისთვის" „ამერთან" მატჩი პირველი იყო მოსამზადებელ პერიოდში, ხოლო „ამერისთვის" მესამე. აქამდე „ყვითლები" ანთალიაში მოსკოვის „სპარტაკის" დუბლებს შეხვდნენ (2:3), იქიდან ჩამოსულებმა კი რუსთავის „ოლიმპი" მიიღეს (1:0).

**კობა ინასარიძე**




# რალფ მინგე და მხოლოდ დინამო



გარდა იმისა, რომ რალფ მინგე საქართველოს ნაკრების მწვრთნელია, დრეზდენის „დინამოს" სპორტული კონსულტანტიცაა. ეს აღმოსავლეთგერმანული კლუბი მინგესთვის ცოტას არ ნიშნავს — იგი „დინამოს" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი და ცოცხალი ლეგენდაა. ეს ინტერვიუ „დინამო-მეგეზინში" გამოქვეყნდა და მართალია, მინგეს საქართველოს ნაკრებზე არაფერს ეკითხებიან, მაგრამ, ვფიქრობთ, მაინც საინტერესო უნდა იყოს ქართველი გულშემატკივრისთვის...

— ჰერ რალფ მინგე, სულ ცოტა ხანია, რაც დრეზდენის „დინამოში" საქმიანობთ. გუნდის ყველა ქომაგს ყველას უჩნდება კითხვა: კარგად შეეწყვეთ აქაურობას?

— მგონი, კი. ამ სამი თვეში დავინახე კონსტრუქციული ატმოსფერო. ვფიქრობ, რომ სწორ გზას ვადგავართ.

— თქვენ ფეხბურთის შეუდარებელი ექსპერტი ხართ. ახლა ბევრს საუბრობენ „დინამოში" სპორტული კომპეტენციის დეფიციტზე. ეს კლუბის სტრუქტურული პრობლემა?

— ფაქტი ერთია: ჩვენ სიტუაციის ანალიზის პროცესში ვართ და გვსურს ვიცოდეთ, როგორ გავხადოთ კიდევ უფრო ეფექტური ჩვენი მუშაობა. ვცდილობთ ჩვენი სტრატეგია დავხვეწოთ და ადვილად ალსაქმელი გავხადოთ. მე გუნდის სპორტული დამკვირვებელი ვარ და ხელმძღვანელობასთან ერთად შევადგინეთ გეგმა კრიზისის დასაძლევად. იმას არ ვამბობ, რომ რაც აქამდე კეთდებოდა, ყველაფერი ცუდი იყო, მაგრამ აუცილებელია გადამოწმება, ნოვაციები და ახალი გზით სიარული. უნდა გავეცნოთ ახალ საფეხბურთო ტენდენციებს, ფეხბურთი ხომ ძალიან სწრაფად ვითარდება და იცვლება.

— სამეთვალყურეო საბჭოს კლუბის სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაც ევალება, ახლა სწორედ ამაზე საუბრობდით, მაგრამ შეგიძლიათ, უფრო კონკრეტულად გვითხრათ?

— მაგალითად, ჩვენ დიდი სამშენებლო გეგმა გვაქვს — მოსაწესრიგებელია სტადიონი. უნდა ვიმუშაოთ სტადიონზე ძალადობის წინააღმდეგაც. ამ ყველაფერზე 23 თებერვალს დრეზდენში მათიას ზამერი ისაუბრებს, შემდეგ კი ფანების შეკრებასაც ვგეგმავთ, რათა ყველაფერი დეტალურად ავუხსნათ. წმინდა სპორტული თვალსაზრისით კი, მთავარი გუნდის დაკომპლექტებაა, ახალგაზრდა თაობაც არ უნდა დავივიწყოთ...

— ეს მხოლოდ სტრატეგიული მოსაზრებებია. როგორი ურთიერთობა გაქვთ მწვრთნელთან და მენეჯერთან?

— ძალიან კარგი. ნორბერტ მაიერი ძალიან გახსნილი ადამიანია, ყველაფერს ცხადად და პროფესიულად ხედავს, რაც ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ.

— კიდევ ერთი კითხვა, როგორც ექსპერტს: შეძლებს „დინამო" ამ სეზონში წინ წაწევას?

— რა თქმა უნდა.

— ამას როგორ დაასაბუთებთ?

— ახლა „დინამოს" უჭირს სტუმრად თამაში, თუმცა გუნდი ჯერ ბოლომდე არ ჩამოყალიბებულა — ზაფხულში ხომ შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ამ გუნდს საკმარისი დრო ჰქონდა შესათამაშებლად და მიმაჩნია, რომ დიდი პოტენციალი აქვს. გადამწყვეტი არგუმენტი კი ის არის, რომ მწვრთნელს საკმარისი დრო მიეცა გუნდის მოსამზადებლად და ყველაფრის მოსაწესრიგებლად. იმედი გვაქვს, ტრავმირებულებიც დაგვიბრუნდებიან. შემოდგომაზე ჩვენი თამაშის ხარისხი მაღალი არ იყო, მაგრამ საერთო ჯამში დღევანდელი მდგომარეობა მაძლევს უფლებას, ოპტიმისტი ვიყო.

— „დინამოს" მთავარი მიზანი ბუნდესლიგაში დაბრუნებაა. რა უნდა გაკეთდეს საამისოდ და რამდენ ხანში მოხდება ეს?

— სიტუაციას რეალურად უნდა შევხედოთ. რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილი ბუნდესლიგაში დაბრუნებაა, მაგრამ ასეთი მიზანი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიღწევა. პირველი ნაბიჯი ამ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში ასვლა იქნება. შემდეგ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოგვიწევს. პირველი ბუნდესლიგა ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობია და ამისთვის ნამდვილად ღირს ცხოვრება.

# ხოჯავას თეთრაძემ თავისთან დაუძახა
## ანჟი პასუხს მალე იტყვის



**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი, რუსთავის „ოლიმპიდან" წასული გოჩა ხოჯავა მახაჩყალის „ანჟიში" ისინჯება.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, დარჩება თუ არა ქართველი ფეხბურთელი მახაჩყალაში, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, მას ამის რეალური შანსი აქვს.

ხოჯავა ზაფხულში მივიდა „ოლიმპში", თუმცა თბილისის „დინამოსთან" სკანდალური მატჩის შემდეგ სადისციპლინო კომიტეტმა პირველი წრის ბოლომდე აუკრძალა თამაში. მაშინვე ითქვა, გოჩა რუსთაველებს დატოვებსო და ასეც მოხდა — ხოჯავა „ოლიმპიდან" წავიდა და რუსული ვარიანტიც გამოუჩნდა.

რუსეთში თამაში მისთვის უცხო სულაც არ არის — „ოლიმპამდე" ის „როსტოვში" და სამარის „კრილია სოვეტოვში" იყო, იქამდე კი კვიპროსულ „ანართოსისშიც" თამაშობდა.

შეგახსენებთ, პირველდივიზიონელი „ანჟის" მთავარი მწვრთნელი საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი ომარ თეთრაძეა.

**კახა შალამბერიძე**

# კარლ ცაისის პრეზიდენტის სჯერა: მიხეილ აშვეთიას ეს შეუძლია

დღეს იენის „კარლ ცაისს“ მნიშვნელოვანი მატჩი ელის — „ბრაუნშვაიგს“ სტუმრობს და თუ ლიგაში დარჩენა სურს, აუცილებლად უნდა მოიგოს. ეს თამაში ჩვენთვისაც საინტერესოა, რადგან, დიდი შანსია, სწორედ დღეს მოიწყოს კარლცაისური დებიუტი საქართველოს ნაკრების ფორვარდმა მიხეილ აშვეთიამ... ისიც, რომ დღე-დღეზე იენაში ჩავა გიორგი ლომაია... ამ და სხვა თემებზე „კარლ ცაისის“ პრეზიდენტი რაინერ ციპფელი საუბრობს...



## ციპფელი ლომაიას არ ადასტურებს, მაგრამ... თან ადასტურებს

— „კარლ ცაისს“ ახლა ძალიან უჭირს. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებას?

— მეორე წრის პირველი მატჩი „ოფენბახის“ წინააღმდეგ არცთუ კარგად ჩავატარეთ. ჩვენი მიზანი მხოლოდ მოგება იყო, რაც ვერ შევძელით. ასე რომ, ვალდებულნი ვართ, მომდევნო შეხვედრებში ქულებს მოვუფრთხილდეთ. იმედია, ასეც იქნება.

— უხეში გამოთვლით, სულ მცირე, რვა მოგება გჭირდებათ...

— კარგად ვიცი, რამდენი ქულა გვჭირდება და დიდი იმედიც მაქვს, რომ ამას შევძლებთ. მწვრთნელების თქმით, გუნდი სერიოზულად ვარჯიშობს და დარწმუნებული ვარ, მოგებები ძალიან მალე მოვა.

— და თუ „ბრაუნშვაიგთან“ მაინც ვერ მოიგეთ?

— ამაზე ახლა არ ვფიქრობ. თუ ვერ მოვიგეთ, თამაშის მერე ვისაუბროთ. ჩვენ ბრაუნშვაიგში სამი ქულისთვის მივდივართ.

— ახლახან თავდამსხმელი მიხეილ აშვეთია გადაიყვანეთ. მასზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— „ოფენბახთან“ მატჩში ყველამ ნახა ჩვენი სუსტი წერტილი — სამი გაშვებული გოლი და სუსტი შეტევა. აშვეთია ამის გამოსწორებაში უნდა დაგვეხმაროს და მე მისი მჯერა.

— თქვენ გუნდის სირთულეებზე საუბრობთ და ვერ ავცდებით მეკარე კრისტიან პერსონსაც. არადა, მთავარ მწვრთნელ ჰაიკო ვებერისთვის ის მაინც ნომერ პირველ მეკარედ რჩება. თქვენც ასე ფიქრობთ?

— თუ ჰაიკო ასე ამბობს, მაშინ ასე ყოფილა.

— ანუ „კარლ ცაისს“ მეკარის პრობლემა არა აქვს?

— ყველაფერს, რაც გაზეთებში იწერება, კომენტარს არ გავუკეთებ. ასეთი დისკუსიები არავის და არაფერს შველის.

— თავად განაცხადეთ, რომ ახალი მეკარის მოყვანას აპირებთ...

— ჩვენ მხოლოდ ისეთი ვინმეს პოვნა გვსურს, რომელიც ახლავე დაგვეხმარება.

— ბრემენელმა ანდრეას რაინკემ იენაში გადმოსვლა იუარა. კიდევ ერთ მეკარე კასპარ იენსენთან მოლაპარაკების შედეგები კი მხოლოდ „ბრაუნშვაიგთან“ თამაშის შემდეგ გახდება ცნობილი...

— ამას ვინ ამბობს? თუ იენსენს იენაში გადმოსვლა სურს, მაშინ ჩვენამდე მოვა.

— ანუ არ ადასტურებთ, რომ სატრანსფერო ფანჯრის ბოლომდე, ანუ 31 იანვრამდე კიდევ ერთი მოთამაშე დაგემატებათ?

— არც ვადასტურებ და არც უარვყოფ, მაგრამ ვინც იქნება ახალი, მან ნამდვილად უნდა შეძლოს ჩვენი გადარჩენა.

# კანკავას დებიუტი გაუწითლეს

## იმედაძემ შახტიორში დარასელია შეცვალა



**გუშინ** დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ შემადგენლობაში პირველი მატჩი ჩაატარა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ჯაბა კანკავამ, რომლის დებიუტი მხოლოდ შვიდწუთიანი გამოდგა. ყარაგანდის „შახტიორთან“ (4:0) ამხანაგური მატჩის მე-7 წუთზე მსაჯთან კამათისთვის კანკავა მოედნიდან გააძევეს.

გეცოდინებათ, „დნიპროში“ კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი, რევაზ ბარაბაძე ირიცხება, თუმცა ის დნეპროპეტროვსკელთა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში არ წაიყვანა.

რაც შეეხება ყარაგანდის „შახტიორის“ ქართველებს: ვიტალი დარასელია ბოლნისის „სიონს“ ახლდა ესენგეს თასზე და, სავარაუდოდ, ყაზახურ კლუბში აღარ დაბრუნდება. გიორგი გაბიდაური კი მარტო მაინც არ დარჩება ყარაგანდულ გუნდში, სადაც გასინჯვაზეა „ზესტაფონის“ თავდამსხმელი გრიგოლ იმედაძე, რომლის ერთადერთი გოლით მოიგო „შახტიორმა“ წინა ტესტ-მატჩში არაბულ „აჯმანთან“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# გვაზავამ ფრთები მოისხა

## ახალი ქართველი კრილიაში



**სამარის** „კრილია სოვეტოვი“ უკრაინულ ლვოვის „კარპატის“ ამხანაგურად გაეჯიბრა და 1:2 დამარცხდა. სამარელთა შემადგენლობაში დავით მუჯირი რომ ვერ ითამაშებდა, ისედაც ცნობილი იყო, თუმცა „კრილია სოვეტოვში“ ერთი ქართველი ფეხბურთელი მაინც გამოჩნდა — სამარელთა მაისურა ლევან გვაზავამ მოირგო.

გვაზავა 33-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე და 65-ეზე შეცვალეს. საერთოდაც, ამ შეხვედრაში სამარელთა მწვრთნელმა სერგეი ობორინმა თითქმის ყველა ფეხბურთელი ნახევარ-ნახევარი საათით ათამაშა.

შეგახსენებთ, რომ შარშან გვაზავა ნალჩიკის „სპარტაკში“ თამაშობდა და ექვს მატჩში ერთი ბურთი გაიტანა, ახლა კი სამარულ კლუბში ცდილობს ფეხის მოკიდებას.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# დემემ უგოლოდ ისიამოვნა



**პირველი** საკონტროლო შეხვედრა გამართა დონეცკის „მეტალურგმა“. გიორგი დემეტრაძის გუნდი დავით გამეზარდაშვილის, ზაალ ელიავასა და რევაზ გეწაძის რიგის „სკონტოს“ შეხვდა და 4:2 იმარჯვა. მართალია, „დემეს“ არ გაუტანია, მაგრამ ერთ-ერთი საუკეთესო კი იყო.

„რამდენჯერმე მქონდა შანსი, მაგრამ გოლის გატანა ვერ მოვახერხე. თამაშამდე ვფიქრობდი, რომ ძნელი მატჩი გვექნებოდა, მაგრამ შესანიშნავად ვითამაშეთ და იოლად მოვიგეთ. როდის ითამაშა ბოლოს „მეტალურგმა“ ასე კარგად, ვერც ვიხსენებ. კარგია, რომ ოთხი ბურთი გავიტანეთ. მე ამ თამაშით დიდი სიამოვნება მივიღე“ — განაცხადა მატჩის შემდეგ დემეტრაძემ.

„სკონტოს“ შემადგენლობაში კი მხოლოდ გამეზარდაშვილმა და ელიავამ ითამაშეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კაპიტნის სიტყვა

## ასათიანი გვჭირდება და სად არის ჯანაშია?



დმიტრი ლოსკოვი და ზაზა ჯანაშია

**მოსკოვის** „ლოკომოტივის“ კაპიტანმა დმიტრი ლოსკოვმა მალხაზ ასათიანს მალე გამოჯანმრთელება უსურვა.

— წინა სეზონში რომ გაგვიჭირდა, ეს იმის ბრალიც იყო, რომ წამყვანი მოთამაშეები, მალხაზ ასათიანი და დმიტრი სიჩოვი ტრავმებმა გააწამეს. იმედია, ახალი სეზონიდან ყველაფერი კარგად იქნება — განუცხადა ლოსკოვმა „სოვეტსკი სპორტს“.

„ლოკომოტივმა“ უკვე დაასრულა პორტუგალიური შეკრება და შინ დაბრუნდა. ასათიანი კი გუნდს 5 თებერვალს შეუერთდება. სწორედ ამ დროს ამთავრებს მალხაზი სარეაბილიტაციო კურსს.

და ერთიც: ლოსკოვს ექსლოკოელ ზაზა ჯანაშიაზეც ჰკითხეს...

— სამწუხაროდ, ზაზა დიდი ხანია, არ მინახავს და საერთოდაც, მასზე ამ ბოლო ხანს არაფერი გამიგია.

**კახა შალამბერიძე**



დმიტრი ლოსკოვი და მალხაზ ასათიანი

# მელია ბანდის წინააღმდეგ



## მიშელ პლატინი

ფრანგ მიშელ პლატინის, როგორც ფეხბურთელს, ისტორიაში ადგილი კარგა ხანია დამკვიდრებული აქვს და ახლა, 51 წლის ასაკში სხვა სიმაღლეებს ეთამაშება — დიდი თანამემამულეების ჟიულ რიმესა და ანრი დელონის დარად ევროპული ფეხბურთის შეფობა განუზრახავს.

ვინ იყო ჟიულ რიმე? ვფიქრობთ, გულშემატკივრებს ამის შეხსენება არ სჭირდებათ, რამეთუ დიადმა ფრანგმა, ფიფას 1921-1954 წლებში რომ თავკაცობდა, არც მეტი არც ნაკლები, მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგონა.

და დელონი? ანრი დელონი გახლდათ უეფას პირველი გენერალური მდივანი, რომელმაც ევროპას თავისი ჩემპიონატი შესთავაზა.

დიდი გეგმები აქვს მიშელ პლატინისაც. თუ დღეს, უეფას პრეზიდენტის არჩევნებში ის გაიმარჯვებს და თავისი წინასაარჩევნო პროგრამის განხორციელებას შეუდგება, ევროპულ ფეხბურთში, სავარაუდოდ, თვალსაჩინო ცვლილებებია მოსალოდნელი.

პლატინის კონკურენტი 77 წლის ლენარტ იუჰანსონია. იუჰანსონი შვედია, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დღეს ფრანგი გაიმარჯვებს, უეფას შეფის სავარძელი ისევ იმ ქვეყნის შვილს დაუბრუნდება, რომელსაც იგი იუჰანსონმა 1990 წელს ჩამოართვა — ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის წინა პრეზიდენტი ჟაკ ჟორჟი გახლდათ.

და რით არის დღევანდელი არჩევნები აღსანიშნავი? ალბათ, ბევრი რამით, მათ შორის კი იმით, რომ კონკურენტებს ერთმანეთი მაინცა და მაინც არ ულანძღავთ, ერთი ორი გაკენწვლით შემოიფარგლნენ.

თუმცა, დავუბრუნდეთ მიშელ პლატინის, რომელიც მართალია, ფრანგია, მაგრამ წარმოშობით იტალიელი გახლავთ — საფრანგეთში მისი პაპა ფრანჩესკო გადასახლდა. მისი დახასიათებისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პლატინი, როგორც ორგანიზატორი, გამოცდილია, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. თუმცა, უმჯობესია, 1988 წლიდან დავიწყოთ, ანუ იმ დროიდან, როდესაც პლატინიმ ფეხბურთელის კარიერა დაასრულა. მაშინ იგი უეფას ტექნიკური განვითარების კომიტეტის წევრად აირჩიეს.

ევროპის ზედიზედ სამგზის საუკეთესო ფეხბურთელი უეფაში აღმასკომის წევრადაც არის ნამუშევარი და 2002 წლიდან იგივე საქმე ფიფაშიც აქვს ნაკეთები. იგი გახლავთ ფიფას პრეზიდენტის ზეპ ლატერის პირადი მრჩეველი და ბლატერის ორგანიზაციის ტექნიკური განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე. იმაზე, რომ მიშელ პლატინის ფრანგულ ფეხბურთშიც დიდი ადგილი უჭირავს, აქ აღარ შევჩერდებით — იგი ფრანგთა ფედერაციის ვიცე პრეზიდენტია.

„მიშელი მელიასავით არის, ყოველთვის შენზე მეტს ხედავს, შენზე წინ იყურება — უთხრა სააგენტო „როიტერს“ მისმა ერთ-ერთმა მეგობარმა.

„მას ადამიანებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა ეხერხება — ეს სიტყვები კი, არც მეტი არც ნაკლები, ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს ეკუთვნის — როგორც ფიფას პრეზიდენტი, უეფას არჩევნებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ თუ პირად დამოკიდებულებაზე მეკითხებით, დასამალი არაფერი მაქვს. მე დიდი სიმპათიით ვარ განწყობილი იმ ადამიანისადმი, რომელიც აგერ უკვე რვაწელიწადნახევარია მხარში მიდგას და ფაქტობრივად, ყველა ჩემი ბიზნეს მივლინების თანამგზავრია. მე პირდაპირ გეტყვით, ის ჩემი მეგობარია“.



## ლენარტ იუჰანსონი

ზოგი ადამიანი ფეხბურთის სათამაშოდ მოდის ამქვეყნად, ზოგი კი ამ თამაშების მოსაწყობად. ლენარტ იუჰანსონი რომ მეორე კატეგორიის დიდი წარმომადგენელია, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ჯერ კიდევ სიყმაწვილეში შექმნა იუჰანსონმა თავისი პირველი ფეხბურთის გუნდი, თუმცა თავად კარგად თამაშით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდა და საერთოდაც, როგორც თავად ამბობს, იმხანად მისი საყვარელი სახეობა შვედური ბანდი (შვედური თამაშია, იგივე „ვიკინგური ჭადრაკი“) იყო. აბა, ფეხბურთში როგორ მოხვდა? როგორ და სულ მარტივად: იუჰანსონის საყვარელი კლუბი სტოკჰოლმის „აიკი“ ოცი სახეობის გუნდს აერთიანებდა, მათ შორის ბანდისაც და ლენარტ იუჰანსონი ბიძაშვილმა სწორედ ბანდის საქმეებისთვის მიიწვია სამსახურში. იქ, „აიკში“ გაირკვა, რომ იუჰანსონი ნიჭიერი მმართველი იყო და მალე მას ბანდიდან ფეხბურთზე მოუხდა გადართვა, სადაც 14 წელიწადს შემორჩა.

შემდეგ, უეფას მომავალი პრეზიდენტის კარიერა ასე აეწყო: ის საკლუბო ხელმძვანელობიდან შვედური ლიგის ხელმძღვანელთა მარაქაში გაერია და 1967-1984 წლებში ამ სარბიელზე აგვარა და აგვარა საქმეები. გაგრძელებაც ლოგიკური გამოდგა — 1984 წელს ის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. მისი, როგორც კარგი ორგანიზატორის რეპუტაცია კი შვედეთი რაა, მთელს ევროპაში იზრდებოდა — 1988 წელს ევროპის ჩემპიონატს გერმანიამ, უფრო სწორად კი მაშინდელმა გფრ-მ უმასპინძლა, ხოლო ლენარტ იუჰანსონი საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი გახდა, ხოლო ამ თანამდებობიდან უეფას პრეზიდენტის 1990 წლის არჩევნები გამოჩნდა კარგად.

ასე და ამგვარად, 77 წლის იუჰანსონი უკვე 17 წელიწადია რაც ევროპულ ფეხბურთს უდგას სათავეში და მოდი ნუ ვიდავებთ, რომ ამ ხნის მანძილზე „ბებერ კონტინენტზე“ უამრავი ცვლილება მოხდა.

და პრეზიდენტის ჯანმრთელობაზე რაღა ვიცით? ის, რომ ბოლო ხანს ექიმებს ორჯერ ჰქონდათ ეჭვი კიბოზე, მაგრამ დღეს, უეფას მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების დღეს იგი თავს კვლავ ჯანმრთელად გრძნობს, ყოველ შემთხვევაში თავად ასე ამბობს.

იუჰანსონი კიდევ იმას ამბობს, რომ არჩევნებში იგი გაიმარჯვებს. რატომაა ასე დარწმუნებული? იმიტომ, რომ საფეხბურთო სამყაროში ყველას იცნობს და ყველას მეგობარი თუ პარტნიორია. მერედა, თუ იუჰანსონი გაიმარჯვებს, ევროპულ ფეხბურთში დიდი ცვლილებები ალბათ არ მოხდება, რაც იმას ნიშნავს, რომ კონტინენტის მდიდარი ლიგები და კლუბები ფულის კეთებას ძველებურად განაგრძობენ, ანუ მდიდრები იუჰანსონისკენ არიან. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩემპიონთა ლიგა სწორედ ლენარტ იუჰანსონის და მისი თანამოაზრეების იდეაა.

ლენარტ იუჰანსონი სიმაღლეში 191 სანტიმეტრია და 120 კილოს იწონის.

„დიახ, ახალგაზრდა არ ვარ, მაგრამ ღვინოსი არ იყოს, რაც დრო გადის უკეთესი და უკეთესი ვხდები — განაცხადა შვედმა ცოტა ხნის წინ — შეხედეთ ფიფას ყოფილ პრეზიდენტ ჟოაო აველანჟს, ის 90 წლისაა და კაჟივით არის“.

არითმეტიკა გვაჩვენებს, არჩევნებში ლენარტ იუჰანსონის გამარჯვების შემთხვევაში საპრეზიდენტო ვადა 81 წლისას ამოეწურება.

### რას აპირებენ ჩემპიონთა ლიგა

***იუჰანსონი:*** ცვლილებებს არ ვაპირებ, რადგან ეს არის შეჯიბრება, რომელიც ძალიან მოსწონთ კლუბებს, ფეხბურთელებს და თვით პატარა ქვეყნებსაც. გაუგებარია, რატომ უნდა შევეხოთ იმას, რასაც უდიდესი მოგება მოაქვს. ჩვენი ლიგის კოპირებას მსოფლიოში უამრავი სპორტის წარმომადგენლები აპირებენ.

***პლატინი:*** იტალიას, ესპანეთს, ინგლისს და გერმანიას ჩემპიონთა ლიგაში სამ კლუბზე მეტი არ უნდა ჰყავდეს, რათა ღარიბი ქვეყნების წარმომადგენლებს ადგილები გაუნთავისუფლდეთ. თუ ღარიბები მათ ფულში კოკურენციას ვერ უწევენ, მოედანზე ნამდვილი ბრძოლა გაიმართება. კი ბატონო, ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ჩემპიონები არ უნდა იყვნენ, რადგან შეჯიბრება თავისი ბუნებით ღიაა, მაგრამ თუ შეჯიბრება ღიაა, მაშინ **NBA**-სავით ნუღა ჩავკეტავთ.

### საფეხბურთო პრობლემები

***იუჰანსონი:*** ჩვენ ეფექტურად უნდა ვებრძოლოთ ნიძლავებს, თამაშების ჩაწყობასა და დოპინგს. საჭიროა მოვიფიქროთ საერთოევროპულ აგენტთა მარეგულირებელი კანონები და ბოლო მოვუღოთ ფეხბურთის შემარცხვენელ რასიზმს.

***პლატინი:*** უპირველეს ყოვლისა ფეხბურთის უბოროტეს მტრებს, რასიზმს, ქსენოფობიას და თაღლითობის ვარიაციებს შევებრძოლები. თაღლითობაში უპირველეს ყოვლისა ნიძლავებს, აგენტთა პროფესიის მოულოდნელ მხარეებს, დოპინგს და ფულის გათეთრებას ვგულისხმობ.

### ევროპული კანონები

***იუჰანსონი:*** მწამს, რომ პოლიტიკოსებთან შეთანხმებები გვმართებს, რათა კანონთა შორის უსიამოვნო დაპირისპირებები ავირიდოთ თავიდან. მეორე მხრივ, ჩვენ ძლიერნი და ავტონომიურები უნდა ვიყოთ.

***პლატინი:*** ყველა ღონეს ვიხმარ რათა ევროკომისიას და კონტინენტის პოლიტიკურ ლიდერებს ავუხსნა, რომ სპორტს საერთო გარემოსგან დამცავი კანონი სჭირდება.

### სოლიდარობა

***იუჰანსონი:*** ფეხბურთის მომავლისთვის სოლიდარობა აუცილებელია. სწორედ ამიტომ შემოვიღეს „ჰეთ თრიქის“ პროგრამა. ჩვენ გადავწყვიტეთ თითოეულ ასოციაციას 800 ათასი ევროს მიღების პერსპექტივა მივცეთ.

***პლატინი:*** „ჰეთ თრიქისა“ და „ტოპ ეგზეკუტივის“ პროგრამები სწორი ნაბიჯია და ისინი კიდევ უნდა განვავითაროთ. ჩვენ თითოეულ ასოციაციას სპეციფიკური პრობლემების გადაჭრაში დავეხმარებით.

### პირადი

***იუჰანსონი:*** ჩემთვის ფეხბურთი საოცარი სახეობაა, რომელზეც ვოცნებობდით, რომელიც ემოციებით გვავსებს და ჩვენს ფასეულობებს შეესაბამება.

***პლატინი:*** უეფას პრეზიდენტობა უამრავ პასუხისმგებლობას ნიშნავს, მაგრამ მთავარია, ფეხბურთმა არ დაკარგოს ის უშუალობა, რომლის გამოც მას თითოეული ბავშვის გულში დიდი ადგილი აქვს მოპოვებული.

**ბაკურა ძიდია**

# სალგადო გამყრელიძის დასკვნას ეთანხმება

**ესპანელ ჟურნალისტებთან ინტერვიუში მიჩელ სალგადომ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, თქვა, რომ ამის გამო ნაწყენი არ არის, თუმც ვერ გაუგია, რატომ უშვებენ ფეხბურთელებს გუნდიდან, სეზონის დასრულებამდე ოთხი თვით ადრე**



**— თავს გარიყულად გრძნობთ?**

— არავითარ შემთხვევაში. ეს მწვრთნელის გადაწყვეტილებაა და ალბათ იმის ბრალია, რომ გასულ კვირას ცოტა ვივარჯიშე. ფაბიო კაპელო როგორც იტყვის, ისე იქნება და მზად ვარ, ყველა მისი მითითება შევასრულო.

**— ამას წინათ რაულმა ბექჰემის, რონალდოსა და კასანოს მხარდაჭერა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.**

— რაულს ვეთანხმები. უპირველეს ყოვლისა, ბექჰემი, რონალდო და კასანო პროფესიონალები არიან და გუნდს ტიტულების მოგებაში დაეხმარებოდნენ. ჩემი აზრით, „რეალი“ ვერაფერს მოიგებს იმით, რომ სეზონის დასრულებამდე ასეთ მოთამაშეებზე უარს იტყვის.

**— ამის შესახებ კაპელოს უთხარით?**

— მან უკვე იცის ჩვენი აზრი, რაულმა ყველაფერი გარკვევით თქვა.

**— საქმე ისე მიდის, რომ ალბათ თქვენც გაგიშვებენ.**

— ყველას აქვს უფლება, თქვას, რასაც ფიქრობს. ამაზე ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის მინდა, რომ ესპანეთის ჩემპიონატი და ჩემპიონთა თასი მესამედ მოვიგო. ამ სეზონში საკუთარი პრობლემები გვერდზე უნდა გადავდოთ და ტიტულებზე ვიფიქროთ. არანაირი სია არ მინახავს, სადაც გასაშვები ფეხბურთელების გვარები წერია და არც მაინტერესებს. თუ კლუბი მეტყვის, რომ აღარ ვჭირდები, სხვა საქმეა. პატივს ვცემ სხვათა აზრს, მაგრამ გარწმუნებთ, ამჟამად პრობლემები არ მაქვს. გულიანად ვვარჯიშობ და კონტრაქტით კიდევ სამი წელი უნდა ვიყო „რეალში“.

**— რონალდოს წასვლაზე რას იტყვით?**

— იგივეს, რაც იეროს, ფიგუს, მაკელელესა და მორიენტესის წასვლაზე ვთქვი. მის გარეშე ძალიან მოვიწყენთ. რონალდო ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ასეთია ფეხბურთის კანონი. იგი თვლის, რომ ახლა გუნდის გამოცვლაა საჭირო და სხვაგან უფრო ბედნიერი იქნება.

**— ფიქრობთ, რომ კლუბი უსამართლოდ მოექცა?**

— უფრო ლამაზად შეიძლებოდა ყველაფრის მოგვარება, მაგრამ ფეხბურთში უსამართლობაც ხშირია და რეალისტები უნდა ვიყოთ.

**— კაპელოსთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— ერთმანეთს პატივს ვცემთ.

**— ახალმოსულებზე რა აზრის ხართ?**

— კლუბმა აშკარად კარგი ფეხბურთელები შეიძინა. ისინი ნამდვილად გააძლიერებენ „რეალს“, მაგრამ ყურადღება იმას კი არ უნდა მივაქციოთ, რომ ბევრი ახალგაზრდა გვყავს, არამედ იმას, რომ თამაშებს ვიგებთ.

**— სწორედ იქცევა სამწვრთნელო შტაბი, როცა ჩემპიონატის ამ ეტაპზე ფეხბურთელებს უშვებს?**

— ეს კლუბისა და მწვრთნელის გადაწყვეტილებაა. მეტს ვერაფერს ვიტყვი. ფუფუნებაა ასეთი დიდებულ მოთამაშეებზე უარის თქმა, მაგრამ იმას, ვინც ასეთ გადაწყვეტილებას იღებს, ალბათ აქვს საამისო მიზეზი.

**— ამ სეზონში ჩემპიონატი ძალიან დაძაბულია.**

— [illegible] ში, რომ პრიმერადივიზიონში ხუთი თანაბარი გუნდი იბრძვის ოქროსთვის. შესაძლოა, „ბარსელონა“ ახლა არაა დანარჩენებზე უკეთეს ფორმაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი კრიზისში არიან. ჩვენც გვქონდა ჩავარდნები.

**— პრეზიდენტთან შეხვედრამ როგორ ჩაიარა?**

— ყოველთვის ვამბობდი, რომ პრეზიდენტის ამბავი კლუბის დირექტორატის წევრებმა უნდა გაარკვიონ. გამორიცხული არაა, რომ ძალიან მოკლე პერიოდში არაფერისგან ბევრი პრობლემა შეიქმნას. სპორტული თვალსაზრისით, ფეხბურთელებმა საკუთარი საქმეები ახალგაზრდების დახმარებით მოვაგვარეთ. ჩვენ „რეალს“ ვექომაგებით და არა რომელიმე კონკრეტულ კაცს.

**— ამბობენ, რომ სწორედ ფეხბურთელები აგებენ პასუხს შე[illegible]გებზე...**

— ძალიან ადვილია, ყველაფერი მოთამაშეებს დააბრალო. ზოგიერთ მომენტში გუნდი მწვრთნელისგან და პრეზიდენტისგან განცალკევებულად გრძნობდა თავს. სწორედ ამაზე ისაუბრა რაულმა და ყველას აზრი გამოხატა. ამ თემის ამოქექვა აღარ მსურს. ახლა კვლავ ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და ვეცადოთ, რომ ამ სეზონში ერთი ჯილდო მაინც მოვიპოვოთ.

# სხვები განაობენ, ის კი ვარჯიშობს

## რონალდუ: რეალური ფანტაზიის ნაყოფი



**ჭორებს,** თითქოს კრიშტიანუ რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „რეალში“ გადადის, კარლუშ კეიროშმა მავანთა ფანტაზიის ნაყოფი უწოდა. არადა, ესპანურ პრესაში ასეთი ხმები მართლა გავრცელდა. ამბობდნენ, რომ მომავალ ზაფხულს „რეალი“ რონალდუზე აპირებს ნადირობას, თუმცა კეიროშის ნათქვამი სრულიად საპირისპიროა — მანჩესტერელთა ასისტენტი მწვრთნელის მტკიცებით, მისი 21 წლის თანამემამულე „იუნაიტედთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას გეგმავს და ეს იმის მიუხედავად, რომ ახლანდელი ხელშეკრულებით რონალდუ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ 2010 წლამდეა შეკრული.

კეიროში, რომელიც ერთიხანობა თავად გახლდათ „რეალის“ თავკაცი ამბობს:

„არა, ტრანსფერზე ლაპარაკი ზედმეტია. ტრანსფერი კი არა, ჩვენ მასთან თავად ვაპირებთ ხელშეკრულების გაგრძელებას. „მანჩესტერ იუნაიტედს“ მკაფიო პოლიტიკა აქვს. ჩვენთან ასეთი წესია, იმისათვის, რომ ამა თუ იმ ფეხბურთელმა ახალი კონტრაქტი გააფორმოს, სულაც არ არის აუცილებელი ძველ ხელშეკრულებას მოქმედების ვადა გამოელიოს. მაგალითად, რაიან გიგზი 14 წელიწადია რაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ გამოდის, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში მან ძალიან ბევრჯერ მოაწერა ხელშეკრულებას ხელი. იმისათვის, რომ კარგი ფეხბურთელი დააფასოს, ჩვენს კლუბს აგენტი და შუამავალი არ სჭირდება“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ საქმეებში ჩახედული ადამიანების ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ ინციდენტი, რომელიც კრიშტიანუ რონალდუსა და მის თანაგუნდელს უეინ რუნის შორის მსოფლიოს ჩემპიონატზე, პორტუგალიისა და ინგლისის ნაკრებთა მეოთხედფინალური მატჩის დროს მოხდა, რონალდუს გუნდში დარჩენის საქმეს ურთულებდა, მაგრამ მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა ორ ახალგაზრდას შორის ურთიერთობა დაარეგულირა და დღეს პრობლემა აღარ არსებობს.

კეიროში განაგრძობს: „მეორე მხრივ, ის რომ, პრესაში რონალდუსა და „რეალის“ შესახებ იწერება, გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან რონალდუ დიდი ფეხბურთელია, ხოლო „რეალი“ დიდი გუნდი, თუმცა, როგორც გითხარით ეს ყველაფერი ფანტაზიაა და მეტი არაფერი. კრიშტიანუ „მანჩესტერ იუნაიტედში“ თავს ბედნიერად გრძნობს. მას აქ ავტორიტეტი აქვს. ის ნიჭიერია და მსოფლიოში ყველას სჯობია. კრიშტიანუ რონალდუ ვარჯიშზე ყოველდღე პირველი მოდის და ბოლო მიდის. ხშირია, როდესაც ვარჯიშის შემდეგ ჩვენ ყველანი უკვე შხაპს ვიღებთ, ის კი ისევ მოედანზეა და ვარჯიშობს. იგი ზეციდან არის დაჯილდოვებული და დაბადებულია, რათა მსოფლიოში ყველას აჯობოს“.

**პაპუნა ძედია**



# სერბის კივილი

**მილანის** „ინტერის“ ლიდერმა დეიან სტანკოვიჩმა კიდევ ერთხელ შეუძახა კლუბის ხელმძღვანელობას — კონტრაქტი გამიხანგრძლივეთო. გუნდთან მის მოქმედ შეთანხმებას ვადა 2008 წლის ივნისში გასდის და საჩქარო თითქოს არაფერია, მაგრამ სერბს მაინც ეჩქარება. აქამდე 28 წლის შემტევმა ნახევარმცველმა არაერთხელ განაცხადა კარიერის „ნერაძურიში“ დასრულება მსურსო.

„ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ კლუბთან კონტრაქტს იანვრის ბოლოს, თებერვლის დასაწყისში გავახანგრძლივებ. ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას“ შემდეგ „ინტერი“ ჩემი საყვარელი გუნდია და აქ დარჩენა მინდა. იმედია, ეს წარმატებული ეპოქის დასაწყისია და ამ სეზონში ტიტულებს მოვიპოვებთ. მე 100 პროცენტით „ნერაძური“ ვარ“ — თქვა „ლაციოს“ ყოფილმა ფეხბურთელმა.

ამასობაში იტალიური პრესა ისევ ავრცელებს ჭორებს, რობერტო მანჩინი მომავალ სეზონში შესაძლოა, ინგლისში წავიდეს სამუშაოდ. „მანჩოს“ არასდროს დაუმალავს, რომ პრემიერლიგაში მუშაობა სწადია. ამბობენ, მას ინგლისურის სწავლაც დაუწყიაო.

მართალია, „ინტერი“ წარმატებით თამაშობს და მანჩინი ცოტა ხნის წინ კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატისაც შეხვდა, მაგრამ მისი კონტრაქტის გახანგრძლივებაზე, რომელსაც ვადა ამ სეზონის ბოლოს გასდის, ჯერ არაფერი ისმის.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ახალი რომანი: რომანი და რობერტო

## მაურინიუ მეგობრებში გაქცევაზე ლაპარაკობს

„სანი“ იუწყება, რომ რომან აბრამოვიჩმა უპირველეს მიზნად რობერტო მანჩინის ყიდვა დაისახა. ერთი სიტყვით, „ჩელსის“ რუსი მეპატრონე ამთავითვე იჭერს თადარიგს, რათა ზაფხულში, ჟოზე მაურინიუს თანამდებობიდან წასვლის შემთხვევაში მშრალზე არ დარჩეს. და როგორც ჩანს, ბევრი იფიქრა ჩუკოტკის გუბერნატორმა თუ ცოტა, საუკეთესო ვარიანტად „ინტერის“ დღევანდელი თავკაცი დასახა, რომელსაც ლონდონში გადაბარგების შემთხვევაში ხელფასად წელიწადში 6 მილიონ გირვანქას სთავაზობს, რაც ევროებში 9,1 მილიონს უდრის. ამ საკითხზე „სანს“ მავანი ინფორმირებული პირი ესაუბრა:

„აბრამოვიჩმა საბოლოოდ შეარჩია კანდიდატურა. ახლა პოლიტიკა მკაფიოა, „ჩელსის“ რობერტო მანჩინის ყიდვა სურს“ — თქვა ანონიმმა.

მანჩინი, რომელსაც „შავ-ლურჯებთან“ კონტრაქტის ვადა ივნისში ეწურება, ის მწვრთნელი გახლავთ, რომელმაც „ინტერს“ 18 წლის უნახავი სკუდეტო მოაგებინა, ოღონდ... თუ ჯილდოს „იუვენტუსისთვის“ სასამართლოს ძალით ჩამორთმევას და „ინტერისთვის“ გადაცემას სკუდეტოს მოგება ჰქვია. მეორე მხრივ, „ინტერს“ დიდი შანსი აქვს მიმდინარე სეზონში — იმავე „იუვენტუსის“ სერია **B**-ში გაგდებისა და „მილანის“ საჯარიმო ქულებით დასჯის პირობებში — მოიგოს ტიტული. ბუნებრივია, ის რომ „იუვენტუსი“ და „მილანი“ დასაჯეს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანჩინიმ „ინტერი“ ძლიერ გუნდად არ აქცია.





ცნობილია, რომ მანჩინისა და „ინტერს“ ახალი ხელშეკრულება გასულ კვირას უნდა გაეფორმებინათ, მაგრამ ის, რაც ერთი შეხედვით მოგვარებული ჩანდა, არ შედგა. მოგვიანებით, მილანელთა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ იტალიურ პრესაში განაცხადა, რომ კლუბსა და მანჩინის შორის ყველაფერი გარკვეულია და კონტრაქტიც მალე გაფორმდება, მაგრამ ჯერჯერობით ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ახალი ხელშეკრულება არ არსებობს და ეს საქმეში ჩახედულ ხალხს იმის მტკიცების საშუალებას აძლევს, რომ მოლაპარაკებას მანჩინი შლის.

„სარბიელში“ რამდენიმე დღის წინ მანჩინის კონრაქტებისადმი დამოკიდებულების ამბავი ეწერა. მწვრთნელი, რომლის გუნდი სადღეისოდ სერია **A**-ს 54 ქულით ლიდერობს და ზედიზედ 13 მოგებით ლიგის რეკორდსმენიცაა, ამბობდა, რომ მისთვის ახალი კონტრაქტის გაფორმება სერიოზულ ფიქრთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ „ინტერის“ ამჟამინდელი ამოცანა ცხადია, ახალი ხელმოწერისთვის მას სჭირდება სეზონის ბოლოს ზუსტად იცოდეს თუ რას აპირებს კლუბის ხელმძღვანელობა მომავალში და ბევრი სხვა რამ.

საქმეში ჩახედული ადამიანისგან ცნობილი გახდა, რომ აბრამოვიჩი მანჩინის გარდა კიდევ რამდენიმე კანდიდატურას განიხილავდა. კერძოდ, ჩუკოტკის გუბერნატორი გუს ჰიდინკს, მარჩელო ლიპის და კარლო ანჩელოტის შესაძლებლობებზეც ფიქრობდა, „იუვეს“ დღევანდელმა თავკაცმა ფრანგმა დიდიე დეშანმა კი იმთავითვე ხმამაღლა განაცხადა, რომ მის ვარიანტზე რუსს შეუძლია არც დაფიქრდეს. თურმე, „ჩელსიში“ ნათამაშებ ნახევარმცველს ლონდონთან საძაგელი მოგონებები აკავშირებს და თებერვალში „ბებერ ქალბატონთან“ ახალი ხელშეკრულების გაფორმებაც [illegible]

საინტერესოა, რომ თავდაპირველად აბრამოვიჩი თურმე „სევილიის“ თავკაც ხუანდე რამოსზეც ფიქრობდა, მაგრამ როდესაც გაირკვა, რომ რამოსმა ინგლისური არ იცის, „ლურჯების“ პრეზიდენტს მრჩეველებმა მისი კანდიდატურის ჩამოშორება შესთავაზეს.

რაც შეეხება მანჩინის პლიუსებს, გარდა იმისა, რომ ის კარგი მწვრთნელია, იგი ინგლისის ნაკრების ყოფილი თავკაცის სვენ გორან ერიკსონის ახლობელიც არის და ერიკსონთან მეგობრობის წყალობით ბოლო ორი წლის განმავლობაში მრავალგზის ყოფილა ლონდონში, სადაც როგორც „ჩელსის“, ასევე სხვა შეფებს შეხვედრია და ბრიტანულ საქმეებში ერკვევა. მერედა, როგორც მასიმო მორატისთან დაახლოებული პირი, ის სატრანსფერო ბაზრის მისახვევ-მოსახვევებშიც არის ჩახედული, რაც მენეჯერობისთვის უთუო უპირატესობა გახლავთ.

ამასობაში „სანისთვის“ ცნობილი გახდა, რომ ჟოზე მაურინიუ მეგობრებში სულ „ჩელსიდან“ წასვლაზე ლაპარაკობს და პირდაპირ ამბობს, რომ ეს მისი მიზანია. მაურინიუს აგენტი ჟორჟე მენდესი თავისი კლიენტისთვის უკვე ახალ გუნდს ეძებს და როგორც ამბობენ, ყველაზე ნაღდი მადრიდის „რეალის“ კანდიდატურა ჩანს, თუმცა, პორტუგალიელი სპეციალისტი ალბათ არც მანჩინის გათავისუფლებულ ადგილზე იტყოდა უარს.

**ბაჰუნა კედია**

# გული და პასპორტი




**მადრიდის** „რეალის“ ახალწვეულმა ფორვარდმა გონსალო იგუაინმა, რომელიც რაიმონ დომენეკს საფრანგეთის ნაკრებისთვის უნდოდა, არგენტინის დროშის ქვეშ თამაში არჩია.

იგუაინი „რეალმა“ „რივერ პლეიტიდან“ 9 მილიონ გირვანქად შეიძინა. მას საფრანგეთის მოქალაქის პასპორტიც აქვს, რადგან ბრესტში დაიბადა, სადაც მამამისი ამავე ქალაქის გუნდში თამაშობდა და პროფესიონალი ფეხბურთელი იყო. შემდეგ არგენტინაში წავიდნენ საცხოვრებლად და იგუანის საქმე ასარჩევად გაუხდა — ან საფრანგეთი ან არგენტინა. რეალელმა არგენტინული პასპორტი აიღო და თავად განაცხადა უარი რაიმონ დომენეკის გუნდში თამაშზე. „გულმა ასე მიკარნახა — თქვა ფეხბურთელმა — არგენტინაშია ჩემი ოჯახი და მეგობრებიც იქ მყავს. ვერ წარმომიდგენია თავი სხვა ქვეყნის ნაკრებში“.

გონსალო იგუაინი რაიმონ დომენეკმა ნოემბერში ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა, მაგრამ რეალელმა იუარა. არგენტინა 7 თებერვალს პარიზში საფრანგეთს ამხანაგურად ეთამაშება, თუმც ალფიო ბასილეს იგუაინი ამ მატჩისთვის არ გამოუძახია.

**ირაკლი ნინიძე**




# ოდოს ნომერი

**მასიმო ოდოს** „მილანში“ ტრანსფერი ოფიციალურად მოგვარდა. „ლაციოს“ უკვე ყოფილმა კაპიტანმა „როსონერისთან“ კონტრაქტი 2011 წლის 30 ივნისამდე გააფორმა, იგი შავ-წითლებში 44-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. 30, წლის მცველს თურმე 30-ნომრიანი მაისურა უნდოდა, მაგრამ...

„დიდი ხანია მსურდა აქ დაბრუნება და ძალიან გახარებული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ეს მოხდა. ახლა „მილანის“ ჯილდოთა ოთახში ვართ, რომელიც უამრავ გამარჯვებას გვახსენებს, რამდენიმე პირადადაც მახსოვს, როცა ახალგაზრდულ გუნდში ვიყავი. ახალ კი კლუბთან ერად ახალი ტიტულების მოპოვება მსურს. მშვენიერ ფორმაში ვარ და მწვრთნელს შეუძლია, თავის განკარგულებაში მიგულოს“ — განაცხადა ოდომ.

შეგახსენებთ, რომ „მილანმა“ მასში 7,75 მილიონი ევრო გადაიხადა და პლუს „ლაციოს“ ბოლომდე დაუთმო 26 წლის ნახევარმცველი პასკუალე ფოჯა, რომელიც ლედაქალაქელებმა უკვე განათხოვრეს „რეჯინაში“.

ოდომ პროფესიონალური კარიერა „როსონერიში“ დაიწყო, „ლაციომდე“ კი „მონცაში“ „ნაპოლში“ და „ვერონაშიც“ თამაშობდა.

**კოკი კანდელაკი**

# დალი გათხოვდა

„**ვილიარეალმა**“ „შტუტგარტიდან“ სეზონის ბოლომდე ითხოვა დანიელი ფორვარდი იონ დალ ტომასონი.

„კლუბები იჯარაზე შეთანხმდნენ და „ვილიარეალს“ მაისში ფეხბურთელის გამოსყიდვის უფლება ექნება“ — ნათქვამია განცხადებაში. 30 წლის თავდამსხმელმა „შტუტგარტამდე“ „მილანი“, „ფეიენოორდი“ და „ნიუკასლი“ მოიარა. დღეს მას ოფიციალურად წარუდგენენ მედიას.

„ვილიარეალში“ მეტი სათამაშო პრაქტიკა ექნება და ვიმედოვნებთ, რომ კარგ ფორმაში დაგვიბრუნდება“ — თქვა „შტუტგარტის“ გენერალურმა მენეჯერმა ჰორსტ ჰელდტმა.

დალ ტომასონი გერმანულმა კლუბმა მაშინ იყიდა „მილანიდან“, როცა „შტუტგარტში“ მწვრთნელად ჯოვანი ტრაპატონი იყო, მაგრამ ტრაპატონი არმინ ფეემ შეცვალა, რომლის ხელშიც დანიელი სათადარიგო გახდა და იმის შიშით, რომ ნაკრებში ადგილს დაკარგავდა, თავად ითხოვა კლუბის გამოცვლა.



**ირაკლი ნინიძე**

# პირველი და მეორე რამ გაყო?




მე-9 წუთზე ლუიშ ფიგუს შესრულებულ საჯარიმო დარტყმას ნიკოლას ბურდისოსო გოლი მოჰყვა. გავიდა 15 წუთი დი იმავე ფიგუს ჩაწოდებულ ბურთს ერნან კრესპომ შეაგება — 2:0. გენუელები არ დანებდნენ და 56-ე წუთამდე წვალობდნენ, მაგრამ როცა ბურდისომ დუბლი გაიფორმა და ანგარიში 3:0 გახდა, მატჩმა ყოველგვარი აზრი დაკარგა.

| 11051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11052 | რეინჯერსი-ჰართსი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11053 | სტ.მირენი-აბერდინი | 4.20 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11054 | ინვერნესი-სელტიკი | 11.00 | 11.00 | 20.00 | 12.00 | 5.00 | 3.50 | 25.00 | 12.00 | 1.65 |
| 11071 | დორტმუნდი-ბაიერნი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11073 | ბოხუმი-მაინცი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11077 | აინტრახტი-შალკე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11079 | არმინია-ჰამბურგი | 3.70 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11080 | ალემანია-ლევერკუზენი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11094 | ტორინო-უდინეზე | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11095 | პალერმო-ლაციო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11096 | კიევო-ემპოლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11097 | მესინა-ასკოლი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11098 | ატალანტა-კატანია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11099 | კალიარი-რეჯინა | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11100 | რომა-სიენა | 1.95 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11102 | ფიორენტინა-ლივორნო | 2.25 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11103 | მილანი-პარმა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11105 | სამპდორია-ინტერი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.50 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11139 | ბარსელონა-სელტა | 1.50 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11141 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11142 | ლევანტე-სევილია | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11144 | მალიორკა-უელვა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11145 | სოსიედადი-ბილბაო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11146 | ვილიარეალი-რეალი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11148 | ბეტისი-ვალენსია | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11150 | სარაგოსა-დეპორტივო | 2.65 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11151 | ატლეტიკო-რასინგი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11177 | ლე მანი-მარსელი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11178 | ბორდო-ლილი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11179 | ნანტი-ლორიანი | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11180 | რენი-ვალენსიენი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11181 | სედანი-მონაკო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11182 | ტულუზი-ტრუა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11183 | ლიონი-ნიცა | 1.50 | 15.00 | 40.00 | 3.50 | 6.00 | 17.00 | 25.00 | 17.00 | 17.00 |
| 11185 | პსჟ-სოშო | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11186 | ოსერი-ნანსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 12050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 12051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 12052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 12053 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 12054 | ინვერნესი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 12071 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 12073 | ბოხუმი-მაინცი | 1.90 | 1.70 |
| 12074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 12076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.60 | 2.00 |
| 12077 | აინტრახტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 12079 | არმინია-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 12080 | ალემანია-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 12081 | ვერდერი-ჰანოვერი | 2.20 | 1.50 |
| 12094 | ტორინო-უდინეზე | 1.60 | 2.00 |
| 12095 | პალერმო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 12096 | კიევო-ემპოლი | 1.60 | 2.00 |
| 12097 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 12098 | ატალანტა-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 12099 | კალიარი-რეჯინა | 1.60 | 2.00 |
| 12100 | რომა-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 12102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 12103 | მილანი-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 12105 | სამპდორია-ინტერი | 1.70 | 1.90 |
| 12139 | ბარსელონა-სელტა | 1.90 | 1.70 |
| 12141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12142 | ლევანტე-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12144 | მალიორკა-უელვა | 1.60 | 2.00 |
| 12145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.60 | 2.00 |
| 12146 | ვილიარეალი-რეალი | 1.70 | 1.90 |
| 12148 | ბეტისი-ვალენსია | 1.60 | 2.00 |
| 12149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 1.60 | 2.00 |
| 12150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.70 | 1.90 |
| 12151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.60 | 2.00 |
| 12177 | ლე მანი-მარსელი | 1.55 | 2.10 |
| 12178 | ბორდო-ლილი | 1.60 | 2.00 |
| 12179 | ნანტი-ლორიანი | 1.45 | 2.30 |
| 12180 | რენი-ვალენსიენი | 1.60 | 1.90 |
| 12181 | სედანი-მონაკო | 1.50 | 2.20 |
| 12182 | ტულუზი-ტრუა | 1.55 | 2.10 |
| 12183 | ლიონი-ნიცა | 1.80 | 1.80 |
| 12185 | პსჟ-სოშო | 1.50 | 2.50 |
| 12186 | ოსერი-ნანსი | 1.55 | 2.10 |
| 12187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.00 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.70 | 1.90 |
| 13050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 1.90 |
| 13051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.70 | 1.90 |
| 13052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.70 | 1.90 |
| 13053 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.70 | 1.90 |
| 13054 | ინვერნესი-სელტიკი | 1.90 | 1.70 |
| 13071 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13073 | ბოხუმი-მაინცი | 1.70 | 1.90 |
| 13074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.90 |
| 13077 | აინტრახტი-შალკე | 1.70 | 1.90 |
| 13079 | არმინია-ჰამბურგი | 1.70 | 1.90 |
| 13080 | ალემანია-ლევერკუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.90 | 1.70 |
| 13094 | ტორინო-უდინეზე | 1.70 | 1.90 |
| 13095 | პალერმო-ლაციო | 1.70 | 1.90 |
| 13096 | კიევო-ემპოლი | 1.70 | 1.90 |
| 13097 | მესინა-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13098 | ატალანტა-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13099 | კალიარი-რეჯინა | 1.70 | 1.90 |
| 13100 | რომა-სიენა | 1.90 | 1.70 |
| 13102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13103 | მილანი-პარმა | 1.90 | 1.70 |
| 13105 | სამპდორია-ინტერი | 1.90 | 1.70 |
| 13139 | ბარსელონა-სელტა | 1.90 | 1.70 |
| 13141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13142 | ლევანტე-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 13144 | მალიორკა-უელვა | 1.90 | 1.70 |
| 13145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 13146 | ვილიარეალი-რეალი | 1.90 | 1.70 |
| 13148 | ბეტისი-ვალენსია | 1.90 | 1.70 |
| 13149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 1.90 | 1.70 |
| 13150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.90 | 1.70 |
| 13151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.90 | 1.70 |
| 13177 | ლე მანი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 13178 | ბორდო-ლილი | 1.70 | 1.90 |
| 13179 | ნანტი-ლორიანი | 1.70 | 1.90 |
| 13180 | რენი-ვალენსიენი | 1.70 | 1.90 |
| 13181 | სედანი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 13182 | ტულუზი-ტრუა | 1.90 | 1.70 |
| 13183 | ლიონი-ნიცა | 2.10 | 1.45 |
| 13185 | პსჟ-სოშო | 1.90 | 1.70 |
| 13186 | ოსერი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.45 | 2.40 |
| 14050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.70 | 2.10 |
| 14051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.30 | 2.50 |
| 14052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.30 | 2.50 |
| 14053 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.00 | 1.80 |
| 14054 | ინვერნესი-სელტიკი | 2.90 | 1.07 |
| 14071 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2.20 | 1.60 |
| 14073 | ბოხუმი-მაინცი | 1.65 | 2.10 |
| 14074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.40 | 2.40 |
| 14075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.80 | 1.90 |
| 14076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.80 | 1.90 |
| 14077 | აინტრახტი-შალკე | 2.10 | 1.65 |
| 14079 | არმინია-ჰამბურგი | 1.80 | 1.90 |
| 14080 | ალემანია-ლევერკუზენი | 2.00 | 1.80 |
| 14081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.07 | 2.80 |
| 14094 | ტორინო-უდინეზე | 1.80 | 1.90 |
| 14095 | პალერმო-ლაციო | 1.65 | 2.10 |
| 14096 | კიევო-ემპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14097 | მესინა-ასკოლი | 1.45 | 2.40 |
| 14098 | ატალანტა-კატანია | 1.40 | 2.40 |
| 14099 | კალიარი-რეჯინა | 1.70 | 2.10 |
| 14100 | რომა-სიენა | 1.18 | 2.60 |
| 14102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.30 | 2.50 |
| 14103 | მილანი-პარმა | 1.07 | 2.90 |
| 14105 | სამპდორია-ინტერი | 2.40 | 1.40 |
| 14139 | ბარსელონა-სელტა | 1.06 | 2.90 |
| 14141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.70 | 2.00 |
| 14142 | ლევანტე-სევილია | 2.30 | 1.60 |
| 14144 | მალიორკა-უელვა | 1.80 | 1.90 |
| 14145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.80 | 2.00 |
| 14146 | ვილიარეალი-რეალი | 2.10 | 1.70 |
| 14148 | ბეტისი-ვალენსია | 2.20 | 1.70 |
| 14149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 2.20 | 1.70 |
| 14150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.60 | 2.30 |
| 14151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.30 | 2.50 |
| 14177 | ლე მანი-მარსელი | 1.90 | 1.90 |
| 14178 | ბორდო-ლილი | 1.80 | 2.00 |
| 14179 | ნანტი-ლორიანი | 1.75 | 2.10 |
| 14180 | რენი-ვალენსიენი | 1.65 | 2.20 |
| 14181 | სედანი-მონაკო | 1.90 | 1.90 |
| 14182 | ტულუზი-ტრუა | 1.60 | 2.30 |
| 14185 | პსჟ-სოშო | 1.75 | 2.10 |
| 14186 | ოსერი-ნანსი | 1.70 | 2.20 |
| 14187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.60 | 2.30 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | რეინჯერსი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | სტ.მირენი-აბერდინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | ინვერნესი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15071 | დორტმუნდი-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | ბოხუმი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | აინტრახტი-შალკე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | არმინია-ჰამბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | ალემანია-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15081 | ვერდერი-ჰანოვერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | ტორინო-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15095 | პალერმო-ლაციო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15096 | კიევო-ემპოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15097 | მესინა-ასკოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | ატალანტა-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15099 | კალიარი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | რომა-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ფიორენტინა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | სამპდორია-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15139 | ბარსელონა-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15141 | ხეტაფე-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15142 | ლევანტე-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | მალიორკა-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | სოსიედადი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15146 | ვილიარეალი-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ბეტისი-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | სარაგოსა-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15151 | ატლეტიკო-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15177 | ლე მანი-მარსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15178 | ბორდო-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15179 | ნანტი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15180 | რენი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15181 | სედანი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15182 | ტულუზი-ტრუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15183 | ლიონი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15185 | პსჟ-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15186 | ოსერი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.25 | 3.20 |
| 16050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.65 | 2.00 |
| 16051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.25 | 3.20 |
| 16052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.25 | 3.20 |
| 16053 | სტ.მირენი-აბერდინი | 2.00 | 1.65 |
| 16054 | ინვერნესი-სელტიკი | 4.20 | 1.15 |
| 16071 | დორტმუნდი-ბაიერნი | 2.50 | 1.42 |
| 16073 | ბოხუმი-მაინცი | 1.43 | 2.45 |
| 16074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.22 | 3.40 |
| 16075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.75 | 1.90 |
| 16076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.70 | 1.95 |
| 16077 | აინტრახტი-შალკე | 2.20 | 1.50 |
| 16079 | არმინია-ჰამბურგი | 1.75 | 1.85 |
| 16080 | ალემანია-ლევერკუზენი | 2.00 | 1.60 |
| 16081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.04 | 6.50 |
| 16094 | ტორინო-უდინეზე | 1.60 | 2.10 |
| 16095 | პალერმო-ლაციო | 1.30 | 2.90 |
| 16096 | კიევო-ემპოლი | 1.60 | 2.10 |
| 16097 | მესინა-ასკოლი | 1.25 | 3.30 |
| 16098 | ატალანტა-კატანია | 1.23 | 3.40 |
| 16099 | კალიარი-რეჯინა | 1.45 | 2.30 |
| 16100 | რომა-სიენა | 1.05 | 6.50 |
| 16102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.10 | 5.10 |
| 16105 | სამპდორია-ინტერი | 3.75 | 1.20 |
| 16141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.37 | 2.65 |
| 16142 | ლევანტე-სევილია | 3.20 | 1.25 |
| 16144 | მალიორკა-უელვა | 1.65 | 2.00 |
| 16145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.65 | 2.00 |
| 16146 | ვილიარეალი-რეალი | 2.65 | 1.35 |
| 16148 | ბეტისი-ვალენსია | 2.40 | 1.45 |
| 16149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 2.00 | 1.06 |
| 16150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.30 | 2.90 |
| 16151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.22 | 3.50 |
| 16177 | ლე მანი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 16178 | ბორდო-ლილი | 1.50 | 2.30 |
| 16179 | ნანტი-ლორიანი | 1.45 | 2.35 |
| 16180 | რენი-ვალენსიენი | 1.35 | 2.60 |
| 16181 | სედანი-მონაკო | 1.90 | 1.70 |
| 16182 | ტულუზი-ტრუა | 1.30 | 2.90 |
| 16185 | პსჟ-სოშო | 1.45 | 2.30 |
| 16186 | ოსერი-ნანსი | 1.35 | 2.60 |
| 16187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.33 | 2.70 |

## გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17049 | დანდი იუნ.-დანფერმლაინი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | ფოლკირკი-კილმარნოკი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ჰიბერნიანი-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | რეინჯერსი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | სტ.მირენი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | ინვერნესი-სელტიკი | 1.85 | 1.95 |
| 17071 | დორტმუნდი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | ბოხუმი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ჰერტა-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | კოტბუსი -მიონხენგლადბახი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | აინტრახტი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 17079 | არმინია-ჰამბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17080 | ალემანია-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17081 | ვერდერი-ჰანოვერი | 1.85 | 1.95 |
| 17094 | ტორინო-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17095 | პალერმო-ლაციო | 1.85 | 1.95 |
| 17096 | კიევო-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17097 | მესინა-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | ატალანტა-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17099 | კალიარი-რეჯინა | 1.85 | 1.95 |
| 17100 | რომა-სიენა | 1.85 | 1.95 |
| 17102 | ფიორენტინა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17103 | მილანი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17105 | სამპდორია-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17139 | ბარსელონა-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17141 | ხეტაფე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17142 | ლევანტე-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17144 | მალიორკა-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17145 | სოსიედადი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17146 | ვილიარეალი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17148 | ბეტისი-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17149 | ტარაგონა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | სარაგოსა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17151 | ატლეტიკო-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17177 | ლე მანი-მარსელი | 1.85 | 1.95 |
| 17178 | ბორდო-ლილი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | ნანტი-ლორიანი | 1.85 | 1.95 |
| 17180 | რენი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | სედანი-მონაკო | 1.85 | 1.95 |
| 17182 | ტულუზი-ტრუა | 1.85 | 1.95 |
| 17183 | ლიონი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17185 | პსჟ-სოშო | 1.85 | 1.95 |
| 17186 | ოსერი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17187 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.85 | 1.95 |

# მოკლე თასი

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| თსუ, აზოტი, დინამო | ავიამშენი, მაკაბი, სტუ |

ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ფინალში ითამაშებენ

| | | | |
|---|---|---|---|
| 26 იანვარი | | | |
| 14:00 | **თსუ — დინამო** | 16:00 | **ავიამშენი — მაკაბი** |
| 27 იანვარი | | | |
| 14:00 | **თსუ — აზოტი** | 16:00 | **ავიამშენი — სტუ** |
| 28 იანვარი | | | |
| 14:00 | **აზოტი — დინამო** | 16:00 | **სტუ — მაკაბი** |



„ავიამშენისა“ და „მაკაბის“ მწვრთნელ-ლიდერები: ზვიად ბაბიაშვილი, ვაჟა შეიძე, ჰამლეტ ხუხაშვილი და გიორგი შერმადინი

**დღეიდან** 29 იანვრის ჩათვლით ვერის ბაღის დარბაზში საქართველოს თასი გათამაშდება. მასში ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ექვსივე გუნდი მიიღებს მონაწილეობას და საერთოდ, ეს ტურნირი ახლახან რუსთავში გამართული მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის მემორიალის ანალოგიური იქნება.

6 გუნდი 2 ჯგუფშია განაწილებული და ერთი წრის შედეგად პირველ ადგილზე გასულები ფინალში შეხვდებიან ერთმანეთს. ადრე თასის გათამაშება უფრო დროში იყო გაწელილი და ერთი ეტაპი რომ გაიმართებოდა, მეორეს კარგა ხნის შემდეგ ათამაშებდნენ. ამჯერად კი თასის მფლობელი ოთხ დღეში გაირკვევა.

თასის მოქმედი მფლობელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდია, რომელმაც შარშან დრამატულ ბრძოლაში წაართვა ტიტული თბილისის „ავიამშენს“. ამჯერად თასის მოგების უმთავრეს კანდიდატად არც ერთი ითვლება და არც მეორე — რუსთავის „აზოტს“ კონკურენციას ალბათ ვერც ამჯერად გაუწევენ და საკანდელიძე-ქორქიას მემორიალის დარად თასის გათამაშებაც ქვემოქართლელთა ტრიუმფით ჩაივლის.

ყოველ შემთხვევაში, რუსთაველთა უმთავრეს კონკურენტებს დიდი ოპტიმიზმი არ ეტყობათ — გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე „ავიამშენისა“ და თსუ-ს მწვრთნელებმა მოკრძალებული წინასათაო განცხადებები გააკეთეს.

„ავიამშენი“ თითქმის ფინალშია, რადგან ჯგუფში შედარებით დაბალი კლასის გუნდები ჰყავს. მეორე ფინალისტი „აზოტისა“ და თსუ-ს ჯახში გამოვლინდება. ეს გუნდებით ბოლოს გასულ კვირას, საკანდელიძე-ქორქიას მემორიალის ფინალში შეხვდნენ და ქვემოქართლელებმა იოლად იმარჯვეს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# შაკ-კუკ

## მოედანზე შაკილ ონილმა შემოაბოტა

24 იანვარი

**ბოსტონი 76:82 ატლანტა**

**ბოსტონი:** ვესტი (18), გრინი (13), გომესი (4), ჯეფერსონი (11 ქულა, 10 მოხსნა), პერკინსი (15 ქულა, 12 მოხსნა); ტელფაირი (5), რონდო (5), პოუი (4), რაი (1)

**ატლანტა:** ლუ (2), ჯონსონი (21), მ. უილიამსი (6), სმიტი (21 ქულა, 11 მოხსნა), რაიტი; ჩილდრესი (14), ფაჩულია (27 წუთი, 10 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა), სტუდემაიერი (4); შ. უილიამსი (2), აიკი (2)

**კლივლენდი 115:118 ფილადელფია**

*ძირითადი დრო 92:92*

**კლივლენდი:** ჯეიმსი (39 ქულა, 10 მოხსნა), ჰიუზი (26), ილგაუსკასი (23 ქულა, 10 მოხსნა)

**ფილადელფია:** იგუდალა (34), დალემბერტი (20 ქულა, 10 მოხსნა), კერნი (18), მილერი (16)

**ნიუ იორკი 107:112 ფინიქსი**

**ნიუ იორკი:** კროუფორდი (29 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა), კარი (25), ლი (17 ქულა, 14 მოხსნა), რობინსონი (17)

**ფინიქსი:** სტუდემაიერი (30 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (22 ქულა, 14 პასი), მერიონი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**სან ანტონიო 85:90 ჰიუსტონი**

**სან ანტონიო:** დანკანი (37 ქულა, 10 მოხსნა), ჯინობილი (15)

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (37), ალსტონი (19)

**იუტა 130:132 მემფისი**

*ძირითადი დრო 118:118*

**იუტა:** ბუზერი (39 ქულა, 15 მოხსნა), ოქური (27 ქულა, 11 მოხსნა), კირილენკო (18 ქულა, 12 მოხსნა), უილიამსი (7 ქულა, 21 პასი)

**მემფისი:** ეტკინსი (29 ქულა, 15 პასი), მილერი (21), ჯონსი (19), გასოლი (17 ქულა, 13 მოხსნა, 12 პასი)

**ინდიანა 96:94 მაიამი**

*ძირითადი დრო 86:86*

**ინდიანა:** მერფი (17 ქულა, 12 მოხსნა), გრეინჯერი (16), ტინსლი (14)

**მაიამი:** ვეიდი (32), კაპონო (18), პასლემი (14 ქულა, 15 მოხსნა), მურნინგი (14)

**ტორონტო 90:88 ნიუ ორლეანი**

**ტორონტო:** ბოში (35), კალდერონი (14)

**ნიუ ორლეანი:** ბატლერი (19), ჯექსონი (17)

**შარლოტი 92:103 დეტროიტი**

**შარლოტი:** ვოლესი (29 ქულა, 11 მოხსნა), ფელტონი (17), ოკაფორი (17 ქულა, 16 მოხსნა)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (22), ვოლესი (20), ვებერი (19)

**საკრამენტო 114:106 მილუოკი**

**საკრამენტო:** არტესტი (36), მარტინი (18)

**მილუოკი:** ბოაკინსი (36), პატერსონი (21 ქულა, 12 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 110:109 ნიუ ჯერსი**

**გოლდენ სტეიტი:** ჰარინგტონი (29), ელისი (20), დევისი (18 ქულა, 10 პასი)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (26 ქულა, 10 მოხსნა), კარტერი (23 ქულა, 13 პასი)

**პორტლენდი 101:98 მინესოტა**

*ძირითადი დრო 87:87*

**პორტლენდი:** რენდოლფი (22 ქულა, 15 მოხსნა), როდრიგესი (18)

**მინესოტა:** გარნეტი (31), დევისი (23)



ყველასგან დაჩაგრულ „ბოსტონ სელტიქსს“ „ატლანტა ჰოქსმაც“ შეახოცა ბოლო სამ მეტოქესთან გასვრილი ავტორიტეტი. ასოციაციის ყველაზე ტიტულიან გუნდს 60-წლოვან ისტორიაში ყველაზე შავბნელი პერიოდი უდგას. „ბოსტონს“ ტრავმიანობის ტორნადომ გადაუარა და ვინც კი კარგი ჰყავდა, ყველა მოსტაცა და დაულეწა. „კელტები“ არც მანამდე ბდღვნიდნენ ყველაფერს, ბოლო წლებში პლეი ოფშიც ველარ ახერხებდნენ გასვლას და ახლა მთლად უიღბლო პერიოდი დაუდგათ — დამტვრეულები არიან პოლ პირსი, ვალი შჩერბიაკი, მაიკლ ოლოვოკანდი, ტონი ალენი და გუნდიც მარჯვენასთან და მარცხენასთან აგებს. „სელტიქსს“ ზედიზედ 9 წაგება მოუგროვდა, ხოლო თუ შინაურ მარცხებს მოვთვლით, მიჯრით 8 გამოუვა, ასეთი დაცემა ამ გუნდის მრავალტომიან ისტორიას არ ახსოვს.

„ბოსტონს“ კარგი შანსი ჰქონდა, „ატლანტასთან“ მაინც მოეგო და უიღბლო სერია შეეწყვიტა. პირველი მეოთხედში მასპინძლებმა 28:10 შემუსრეს მომხდურები, მაგრამ მერე მთელ თამაშში ხეირიანი ველარაფერი გააკეთეს და თეთრი დროშა გამოფინეს.

ზაზა ფაჩულია კვლავ შეცვლაზე შევიდა და 27 წუთში 1 მოხსნა დააკლდა ორმაგ დუბლამდე, რომელიც 22 დეკემბრიდან ანუ ბოლო 15 თამაშია, აღარ შეუსრულებია.

ნბა-ს ისტორია, ყველა ლიგის მსგავსად, გუნდების აღზევების და დაცემის ისტორიების შეკვრაა. 16-გზის ჩემპიონი „ბოსტონი“ ასე დაბლაა გართხმული, სამაგიეროდ, ვერცერთგზის ჩემპიონი „ფინიქსი“ არაადამიანურად კარგ კალათბურთს თამაშობს და მაღლაც დაფრინავს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს საერთოდ არასდროს წააგებს. ფინიქსელებმა, რაღა თქმა უნდა, სტივ ნეშის მეთაურობით, ზედიზედ მე-15 მეტოქე მოიკალათეს. ამ ჯერზე მათ „ნიუ იორკი“ შემოემარცხათ. „ფინიქსმა“ ეს, ანუ ზედიზედ 15 თამაშის მოგება უკვე მეორედ შეძლო და თუ პარასკევს ამ 15-ს „მილუოკიც“, ანუ მე-16 მიაყოლა, კლუბის ყველა დროის რეკორდს გამოაცხობს.

„ნიუ იორკთან“ სტივ ნეშმა 14 პასი გააკეთა, მაგრამ იმ დღეს სხვამ მასზე მეტი მოაგროვა — იუტელმა დერონ უილიამსმა წყალწაღებულ „მემფისთან“ რკენაში 21 (!) პასი გაახერხა, მაგრამ რაც უნდა წარმოუდგენელი იყოს, მის გუნდს მოსაგებად ესეც არ ეყო. „მემფისმა“ მაინცდამაინც ახლა გამოიდო თავი და ოვერტაიმში დასცა ლონიერი მეტოქე. გამარჯვებულთა ესპანელმა ლიდერმა პაუ გასოლმა მხოლოდ 17 ქულა ჩააგდო და წინ 3 თანაგუნდელი გაუშვა, მაგრამ სამაგიეროდ მან ქულებს 13 მოხსნა და 12 პასიც მიაბა და სეზონში პირველი სამმაგი დუბლიც შეასრულა.

ამ ოთხშაბათს კიდევ არაერთი მძლავრი გუნდი დაეცა სუსტთან ბრძოლაში, „სან ანტონიოს“ ლიდერმა ტიმ დანკანმა 37 ქულით სეზონის რეკორდი დაამყარა, მაგრამ მას „ჰიუსტონის“ ყოჩმა ტრეისი მაკგრეიდიმ 37-ვე შეაგება.

უფრო მეტი, 39 ქულა გამანსა „კლივლენდის“ ყველაფერმა ლებრონ ჯეიმსმა, მაგრამ „ფილადელფიასთან“ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. ამ უკანასკნელმა მიმდინარე სეზონში ორი დიდრონი ვარსკვლავი დაკარგა — ალენ აივერსონი და კრის ვებერი და მას მერე ბევრიც წააგო, მაგრამ ერთი კარგი ბიჭი კი ეზრდება ამ გუნდს — ანდრე იგუდალა, რომელმაც ლებრონთან ჭიდილში კარიერაში უმეტესი 34 ქულა მოირუწა და აქედან 8 მეორე ოვერტაიმში.

დაბოლოს, დღის მთავარი მოვლენა: „მაიამი ჰითს“ 2,5-თვიანი განშორების შემდეგ შაკილ ონილი დაუბრუნდა. დევშაკმა მუხლის ოპერაცია გადაიტანა და სეზონის პირველი 4 თამაშის შემდეგ ახლაღა გავიდა მოედანზე. ფარები არ დაულეწავს, 14 წუთში 5 ქულით დაკმაყოფილდა, მისმა გუნდმა კი „ინდიანასთან“ ოვერტაიმში დათმო.

**კოტე ყორშია**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუმინული პრეტენზიით

გოდერძი შველიძე, მამუკა გორგოძე, რატი ურუშაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი და ბესიკ ხამაშურიძე — ეს ძირითადი შემადგენლობის იმ მორაგბეთა ჩამონათვალია, წლევანდელი ერთა თასის 3 თებერვლის უმთავრეს მატჩში ბუქარესტში რუმინეთს რომ ვერ დაუპირისპირდებიან. ერთიცაა, წლევანდელი ერთა თასი ბევრს არაფერს წყვეტს, თანაც ჩვენები უკვე გავიდნენ მსოფლიოს თასზე და ამ ტურნირს საამისოდ გამოიყენებენ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელები მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი ორი თვეა, გოდერძი შველიძისა და დავით ზერაქაშვილის ელიტარული სარაგბო კლუბ „კლერმონს" სტუმრობენ და კლერმონელთა ახალზელანდიელ მწვრთნელი ვინს კოტერთან გადიან კონსულტაციებს. ჩვენი „ლელოების" მთავარ მწვრთნელ **მალხაზ ჭეიშვილს** საფრანგეთში დავუკავშირდით...



**— როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე კლუბს დაუთმეთ და სარუმინეთოდ ამიტომ არ გამოიძახეთ...**

— გათავისუფლება რატი ურუშაძემ, მალხაზ ურჯუკაშვილმა და ბესიკ ხამაშურიძემ გვთხოვეს. მათ კლუბებს პრინციპული მატჩები აქვთ და ეს გარემოება გავითვალისწინეთ. ისინი თავიანთ გუნდებში ლიდერებად ითვლებიან და რადგან წლევანდელი ერთა თასი პრაქტიკულად არაფერს წყვეტს, კლუბში დასამკვიდრებლად ხელი აღარ შევუშალეთ. რაც შეეხება გოდერძი შველიძეს, მას სავიზო პრობლემები აქვს, ხოლო მამუკა გორგოძე ტრავმირებულია.

**— ჩავთვალოთ, რომ წლევანდელ ერთა თასს მსოფლიოს თასისთვის გამოიყენებთ და ექსპერიმენტებს კიდევ მიმართავთ?**

— ასეც იქნება. ჩვენ გვინდა, რომ ნაკრებს ახალბედები შევაჩვიოთ. ოღონდ ეს უცბად კი არ უნდა მოხდეს, არამედ ეტაპობრივად. ოღონდ ერთი აქვე დავაკონკრეტოდ, ნაკრების ხერხემალი კარგა ხანია, ჩამოყალიბებულია, ჩვენ გვინდა, რომ მსოფლიოს თასისთვის მომზადებული და გამოცდილი რეზერვი გვყავდეს.

**— იმის გათვალისწინებით, რომ რუმინეთთან ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე არ ითამაშებს, ბუქარესტში გამარჯვება ალბათ ძალიან ძნელი იქნება.**

— ბუქარესტში მოგება ყოველთვის რთულია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ შემადგენლობით საერთოდ უშანსოდ ვართ. პირიქით, ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ღირსეული შემცვლელები გვყავს, თანაც მათი მოტივაცია ახლა გაორმაგებულია.

**— საფრანგეთში ჩვენი ლეგიონერების თამაშები ნახეთ. ყველაზე მეტად რომელმა მორაგბემ განიცადა პროგრესი?**

— მე მერაბ კვირიკაშვილს გამოვარჩევდი. მეკო შერკინების გამთამაშებელი იყო, ახლა ამპლუა შეუცვლია და ათი ნომრის პოზიციაზე თამაშობს. კვირიკაშვილი საფრანგეთის ჩემპიონატის რანგით მეორე დივიზიონის ელიტარულ კლუბ „პოში" გადავიდა. „პო" დიდი ტრადიციების გუნდია, საფრანგეთის ჩემპიონიც იყო. „მეკო" კარგად მოერგო ახალ გუნდს, რაც მის თამაშსაც ეტყობა. გამორიცხული არაა, რუმინეთთან კვირიკაშვილი დავაყენოთ ძირითად შემადგენლობაში, რომ ნელ-ნელა შეეჩვიოს ნაკრებს.

**— ერთიც, ნაკრები პირდაპირ ბუქარესტში შეიკრიბება თუ საფრანგეთშიც გექნებათ მოსამზადებელი ეტაპი?**

— საფრანგეთში 2-3 დღიან შეკრებას ვაპირებდით, მაგრამ გეგმა შევცვალეთ და 29 იანვარს, ანუ თამაშამდე ოთხი დღით ადრე ადგილზე, ბუქარესტში შევიკრიბებით. ეს საკმარისი იქნება მატჩისთვის მოსამზადებლად.

**ბაჩო სვანიძე**

ჭიდაობა

# კლასიკური რეისი: ბათუმი-პარიზი

**საქართველოს** ჩემპიონატზე ნაჭიდავები ბერძენ-რომაელები ამ დილით საფრანგეთში გაფრინდნენ. ზეგ საქართველოს ნაკრები საერთაშორისო სეზონს პარიზის ტურნირით გახსნის. ბათუმიდან დაბრუნებულმა ბეგი დარჩიამ თან წასაყვანი ცხრა შეგირდი დაასახელა. ორის ვინაობა ადრევე იყო ცნობილი. შარშანდელი ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების პრიზიორებმა დავით ბედინაძემ (60კგ) და მანუჩარ კვირკველიამ (74კგ) ბათუმური პირველობა მწვრთნელებთან შეთანხმების შემდეგ გამოტოვეს და იქვე გვითხრეს, პირველად ხალიჩაზე საფრანგეთში გავალთო. სწორედ ესაა მიზეზი, რომ მათ წონებში საქართველოს ნაკრები ორი მოჭიდავით აპირებს გამოსვლას. ბედინაძეს 60 კილოგრამში ახლადაწეული და უმალ გაჩემპიონებული რევაზ ლაშხი შეუწყვილდება, ხოლო კვირკველიას საქართველოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გენადი გოგიშვილი.

დანარჩენი ხუთი წონიდან ოთხი საქართველოს ჩემპიონებით დაკომპლექტდა. გამონაკლისი კი უმსუბუქესი წონაა. 55 კილოგრამში ნაკრების ღირსებას მეორეადგილოსანი ლაშა გოგიტაძე დაიცავს.

მწვრთნელ-მოჭიდავეების გარდა საფრანგეთში საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი თემურ ყაზარაშვილიც გაემგზავრა — ქართული დელეგაციის ხელმძღვანელი პარიზულ ტურნირს იმსაჯებს.

საფრანგეთიდან დაბრუნებული ბერძენ-რომაელები ნაკრების სხვა კანდიდატებთან და თავისუფალი სტილის მოჭიდავეებთან ერთად ბაკურიანში გაემგზავრებიან ორკვირიან შეკრებაზე. უახლოესი დიდი ტურნირი კი 17-22 აპრილს ბულგარეთში ჩასატარებელი ევროპის ჩემპიონატია.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**
**ბერძნულ-რომაული**

| | |
|---|---|
| 55 კგ | ლაშა გოგიტაძე |
| 60 კგ | დავით ბედინიძე |
| | რევაზ ლაშხი |
| 66 კგ | მუხრან მაჭუტაძე |
| 74 კგ | გენადი გოგიშვილი |
| 84 კგ | ბადრი ხასაია |
| 96 კგ | რამაზ ნოზაძე |
| 120 კგ | რევაზ ჭელიძე |

ხელბურთი

## მსოფლიოს XX ჩემპიონატი

ჰალეში. გერმანია. 19 იანვარი – 4 თებერვალი

### მეორე ჯგუფური ეტაპი

**პირველი ჯგუფი**

გერმანია 35:28 ტუნისი
პოლონეთი 35:33 ისლანდია
საფრანგეთი 33:19 სლოვენია

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 88:73 | 4 |
| ისლანდია | 2 | 0 | 1 | 101:89 | 4 |
| გერმანია | 2 | 0 | 1 | 95:84 | 4 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 1 | 84:89 | 4 |
| სლოვენია | 1 | 0 | 2 | 82:95 | 2 |
| ტუნისი | 0 | 0 | 3 | 85:105 | 0 |

**მეორე ჯგუფი**

რუსეთი 30:26 ჩეხეთი
დანია 27:23 ესპანეთი
ხორვატია 25:18 უნგრეთი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 3 | 0 | 0 | 85:71 | 6 |
| ესპანეთი | 2 | 0 | 1 | 91:85 | 4 |
| უნგრეთი | 2 | 0 | 1 | 76:79 | 4 |
| დანია | 1 | 0 | 2 | 82:81 | 2 |
| რუსეთი | 1 | 0 | 2 | 86:91 | 2 |
| ჩეხეთი | 0 | 0 | 3 | 80:93 | 0 |

ფიგურული სრიალი

## ევროპის ჩემპიონატი

ვარშავა. პოლონეთი 23 – 28 იანვარი

# ცეცხლზე ნავთი

## ელენე გედევანიშვილი ახალ ოლიმპიურ ციკლს იწყებს


პირველი ვარშავული ოქრო ალიონა სავჩენკოსა და რობინ შოლკოვის სპორტულმა წყვილმა იგრუნა

AFP ვარშავიდან

**დღეს** ვარშავაში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატი ჩვენი ელენე გედევანიშვილისთვისაც დაიწყება. 17 წლის ქართველი მოციგურავე უფროსებში თავის მეორე ევროსრიალს იწყებს. შეგახსენებთ, რომ შარშან ლიონში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე გედევანიშვილმა სენსაცია მოახდინა და მე-5 ადგილი დაიკავა. წლეულს ელენეს ამ შედეგის გამეორებაც კი გაუჭირდება, რადგან ცნობილი მიზეზების გამო მთელი შემოდგომა იუქმა და ახლაღა, ნააზალწლევს განაახლა ვარჯიში აშშ-ს ქალაქ რეინში.

ელენე გედევანიშვილთან ერთად ვარშავაში საქართველოს ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი *ირაკლი ჯაფარიძე* ჩავიდა. მას გუშინ პოლონეთში დავუკავშირდით...

— ორი დღეა, რაც ელენე ვარშავაში ჩამოვიდა და ადაპტაციაც გაიარა. ერთი ეგაა, რომ პოლონური ტელე თუ მედია ჟურნალისტები სულ კუდში დასდევენ და რუსეთიდან მისი მშობლების დეპორტაციის ამბებს ეკითხებიან. ხომ იცით, პოლონელებს რუსები ჩვენი არ იყოს, გულზე არ ეხატებათ და სულ ცდილობენ, თავიანთ ცეცხლზე ქართული ნავთი დაასხან. თავიდან ელენე ელაპარაკებოდა კიდეც აქაურ ჟურნალისტებს, მაგრამ თანდათან ეს ყველაფერი მომაბეზრებელი ხდება და პირადი დაცვასავით დავყვები, ოღონდ კი მშვიდად იაროს სასტუმროდან დარბაზამდე.

**— ყველაფრის გათვალისწინებით, ელენე ფსიქოლოგიურად რამდენად არის მზად ტურნირისთვის?**

— ელენე სტრესიდან ნელ-ნელა გამოდის და საკმაოდ მხნედ გამოიყურება. ამ მხრივ პრობლემა არ უნდა შეექმნას. თანაც აქ ვარშავაში საქართველოს საელჩო თან გადაგვყვა, დღე არ გავა, მისმა თანამშრომლებმა ელენეს ამბავი არ იკითხონ და არ გაამხნევონ. ერთი სიტყვით, თანადგომას ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ და ელენეც ფსიქოლოგიურად მზად არის საამტურნიროდ.

**— ერთია ფსიქოლოგია და მეორე სპორტული ფორმა?**

— მას შემდეგ, რაც ელენეს მთელი შემოდგომა გაუცდა და ვარჯიში ახლაღა განაახლა ნამდვილად არ ველოდი, თუ ასეთ კარგ ფორმაში იქნებოდა. ამერიკაში ელენემ უკვე მოასწრო ოცი ვარჯიშის ჩატარება — მისი დღევანდელი სპორტული ფორმა დამაკმაყოფილებელია, თანაც კენჭისყრამ ძალიან გაგვიმართლა. ელენე ფავორიტების ბოლო ჯგუფში მოხვდა და ოცდათვრამეტ მონაწილეში ოცდამეთორმეტე ნომრად გამოდის, რაც მსაჯების სიმპათიის მოსაპოვებლად საკმაო წინაპირობაა.

**— შარშან ევროპის ჩემპიონატზე ელენემ მე-5 ადგილი დაიკავა. წლეულს ამ შედეგის გამეორება ალაბთ გაჭირდება...**

— თავიდან მეც ასე მეგონა, მაგრამ ახლა აზრი შემეცვალა. ვფიქრობ, რომ დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ათეული გარანტირებული აქვს, ხუთეულში თუ მოხვდება, კარგი შედეგი იქნება. ელენეს ამის შანსი ნამდვილად აქვს.

**ბაჩო სვანიძე**

**სპორტული წყვილები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ალიონა სავჩენკო და რობინ შოლკოვი (გერმანია) | 199,39 |
| 2. | მარია პეტროვა და ალექსეი ტიხონოვი (რუსეთი) | 179,61 |
| 3. | დოროთი და მარიუშ ზიუდეკები (პოლონეთი) | 170,91 |

## ავსტრალიის ღია პირველობა 2007. მელბურნი. 15-28 იანვარი. საპრიზო 20 000 000 $

# ერთადერთი, კორტის ღმერთი

## როჯერ ფედერერმა ჩოგბურთი წაშალა

25 იანვარი

**კაცები**

**ნახევარფინალი**

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ენდი როდიკი (6, აშშ) 6:4 6:0 6:2

**ქალები**

**მეოთხედფინალი**

სერენა უილიამსი (აშშ) — ნიკოლ ვაიდიშოვა (10, ჩეხეთი) 7:6 6:4; მარია შარაპოვა (1, რუსეთი) — კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) 6:4 6:2

გუშინ ჩატარებულმა სამივე ნახევარფინალმა იმედები გაუცრუა როგორც ჩოგბურთის სპეციალისტებს, ისე როდ ლეივერის სახელობის კორტზე შეკრებილ თუ ტელექომაგებს — ბრძოლა არც ერთ შეხვედრაში არ შემდგარა, ხოლო ის, რაც როჯერ ფედერერ-ენდი როდიკის მატჩში მოხდა...

გუშინდელზე უკეთესი შემთხვევა როდისღა მიეცემა ვინმეს შვეიცარიელის დასამარცხებლად — ჯერ ერთი, რომ თავად „მხიარული როჯერი" არ არის იდეალურ ფორმაში; მეორეც, როდიკი წლეულს მელბურნ-პარკის კორტებზე ლამის დაფრინავდა. თანაც იმის იმედიც იყო, რომ ენდი-ბოი ფსიქოლოგიურადაც მზად იქნებოდა შვეიცარიელთან სათამაშოდ. ბოლოს და ბოლოს, იანკიმ ზედ პირველობის დაწყების წინ დაამარცხა ფედერერი და თითქოს მოიხსნა ეს წყევლა...

მაგრამ ის, რაც ფედერერმა თავის მეტოქეს დამართა, უკვე სასაცილოც აღარ იყო. წლის მატჩად შერაცხული ნახევარფინალი ერთი მსახიობის თეატრად გადაიქცა, რომელშიც ამერიკელს მოძველებული დეკორაციის როლიღა ერგო. „მხიარულმა როჯერმა" ისეთი დონის ჩოგბურთი ითამაშა, განსაკუთრებით მეორე და მესამე სეტებში, რომლის სიტყვებით აღწერა რეალურად შეუძლებელია — ვინც ეს შეხვედრა ნახა, ალბათ იგივეს იტყვის. ფედერერმა გუშინ იდეალური თამაში აჩვენა და მისი როკვის შემყურეთ როდიკის ადამიანურად შეცოდებაღა შეეძლოთ. ენდის ყველა იმედი ხუხულასავით დაენგრა. ასეთი წაგებები უბრალო გადასატანი არ არის და ენდი-ბოისაც კარგა დრო დაჭირდება მის დასავიწყებლად. არადა, რა დააშავა ამ ბიჭმა ასეთი — მისი ერთადერთი „ცოდვა" ისაა, რომ ფედერერის ეპოქაში უწევს თამაში, თორემ სხვებთან თვითონაც გოლიათად მოჩანს.

ასევე მოულოდნელად ადვილად გაიკაფეს გზა ფინალისკენ სერენა უილიამსმა და მარია შარაპოვამ.

შეიძლება ითქვას, რომ სერენა საბოლოოდ დაბრუნდა — დევით ამერიკელისგან ტურნირის დაწყებამდე ბევრს არ ელოდნენ, ის კი ადგა, ფავორიტები აქეთ-იქით მიმოყარა და აგერ ფინალში გავიდა, სადაც აუტსაიდერად სულაც არ მოჩანს. ამერიკელმა მიყოლებით ჩამოიშორა გზიდაც ნადია პეტროვა, შაჰარ პეერი, ნიკოლ ვაიდიშოვა და ახლა მესამე ავსტრალიურ ტრიუმფამდე ერთი ნაბიჯის გადადგმაღა აკლია.

გუშინ თავად ვაიდიშოვამ შეიტინა „დიდი წვლილი" სერენას წარმატებაში. 17 წლის ჩეხმა ამჯერადაც ვერ გაუძლო დიდ ზეწოლას და იმდენი ორმაგი თუ უნებლიე შეცდომა დაუშვა, რომ სერენას მატჩის მოსაგებად ბევრი წვალება არ დასჭირვებია. თავი იჩინა ვაიდიშოვას გამოუცდელობამაც, რის გამოც თინეიჯერი ჩეხი გადამწყვეტ მომენტებში ანერვიულდა და დიდი წვალებით მოპოვებული უპირატესობა წყალს გაატანა. სამაგიეროდ, სერენამ შეირგო მეტოქის მიერ ბოძებული შანსი და ფინალში ადგილი დაიბევა.

კიდევ უფრო მოულოდნელი გამოდგა შარაპოვას მიერ კლაისტერსის ამდენად იოლად გასილაქება. რუსმა პრიმამ ტურნირზე საუკეთესო თამაში აჩვენა და ფუმფულა ბელგიელი უკანა ხაზიდან წარმოებული უმძლავრესი შეტევებით წააქცია. მართალია, თვითონ კიმიც ვერ იყო სათანადო განწყობაზე და მეტოქეს თითქმის სამჯერ აჯობა შეცდომების რაოდენობით, მაგრამ მაშასაც ნუ დავუკარგავთ დიდებულ გარჯას.



ფინალში კი შარაპოვა ორი წლის წინანდელ მარცხისთვის მოსთხოვს პასუხს შავტუხა ამერიკელს — მაშინ სერენამ რუსს ნახევარფინალში თითქმის წაგებული თამაში შემოუტრიალა. ჰოდა, ნერვებმა თუ არ დაალალატეს...

**კახა ლომაშვილი**

# ამანდამ მაკა იშარა

**იტალიურ** კაპრიოლოში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირის მეორე წრე საქართველოს პირველმა ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმა უბრძოლველად გაიარა — ბრიტანელი ამანდა კინი მავანი მიზეზის გამო სათამაშოდ არ გამოცხადდა და მაკა მეოთხედფინალში გავიდა, სადაც შეჯიბრის მასპინძელს, 19 წლისა და რეიტინგში 266-ე ადგილზე მყოფ ჯულია გაბას შეხვდება.

წინ მიიწევს ლადო ჩიხლაძეც. საქართველოს სადევისთასო ნაკრების მეორე ნომერმა ავსტრიული ზალცბურგის ჭერქვეშა ხალიჩაზე მიმდინარე ტურნირის პირველ წრეში „ვაილდქარდოსანი" მასპინძელი ფილიპ ქელენეკი 6:2 7:6 დაჩაგრა და მეორე წრეში კი მეოთხე ნომრად განთესილ იტალიელ მარკო პედრინის დაუპირისპირდება, რომელმაც სასტარტო მატჩში კიდევ ერთი ავსტრიელი ჯერალდ კამიტცი 7:5 6:1 დაამარცხა.



## ყველა ვარსკვლავის მატჩი
### დალასი. 24 იანვარი

# საუკეთესო ბრიარი და შიღბლო კროსბი

## დასავლეთი 12:9 აღმოსავლეთი

3:3 6:3 3:3

0:1 ბრიარი (პიტლი, ჰოსა), 1:1 პერო (როლსტონი, გერინი), 2:1 სელიანე, 2:2 სენ ლუი (ლეკავალიე, რაფალსკი), 2:3 სტაალი (უილიამსი, ბლეიკი), 3:3 ვიშნოვსკი (საკიკი, ნეში), 4:3 მარლო (ჩიჩუ, ლიდსტრიომი), 4:4 უილიამსი (ბლეიკი), 4:5 ხარა (ბრიარი, რაფალსკი), 5:5 როლსტონი, 6:5 ნეში (საკიკი, პანიოფი), 7:5 ჰავლატი (საკიკი, ნეში), 8:5 პერო (გერინი, როლსტონი), 8:6 ოვეჩკინი (ბრიარი, სურეი), 9:6 როლსტონი (ჟოვანოვსკი), 9:7 პიტლი (ბრიარი, ჰოსა), 10:7 ნეში (საკიკი, ჰავლატი), 10:8 ხარა (ჰოსა, ბრიარი), 11:8 ჰავლატი (სმიტი, ჟოვანოვსკი), 11:9 სურეი (ჰოსა, პიტლი), 12:9 პანიოფი (ვიშნოვსკი)

**სიდნი კროსბი** იმითღა თუ დამშვიდდება, რომ პირველ ოლ სტარში ვერც უეინ გრეცკიმ შეძლო თავის გამოჩენა. საქმე იმაშია, რომ გულშემატკივართა ფავორიტმა 19 წლის კანადელმა მთლიანად ჩააგდო ეს საჩვენებელი, დიდწილად სალაზღანდარო შეხვედრა და ლირებული ვერაფერი გააკეთა, რაც ლიგის საუკეთესო ბომბარდირისგან მოულოდნელი იყო.

თავი მაინდამაინც ვერც მეორე ახალგაზრდა სუპერვარსკვლავმა, გასული წლის საუკეთესო ახალბედა ალექსანდრ ოვეჩკინმა გამოიჩინა. თუმც კროსბისგან განსხვავებით, რუსმა ერთი გოლი მაინც გაიტანა.

მთლიანობაში კი დასავლელმა ვეტერანებმა დაჯაბნეს აღმოსავლეთელი ახალგაზრდა ვარსკვლავები. თავის მეცხრე ოლ სტარზე მოთამაშე ჯო საკიკის კაპიტნობით, რომელმაც ოთხჯერ უპასა პარტნიორებს, დასავლელებმა კარგადაც ისიამოვნეს და დალასელ მაყურებელსაც მშვენიერი სანახაობა აჩვენეს. თავი განსაკუთრებით კოლუმბუსელმა რიკ ნეშმა გამოიდო, რომელმაც ჰეთ თრიქი მიითვალა.



დანიელ ბრიარი

აღმოსავლელები კი იმით თუ დაიმშვიდებენ თავს, რომ უძვირფასესი მოთამაშის ტიტული მათიანმა, „ბუფალოს" თანაკაპიტანმა დანიელ ბრიარმა დაისაკუთრა. ესეც თავის პირველ ოლ სტარზე იყო, მაგრამ შაიბაც შეაგდო და პარტნიორებს ხუთჯერ საგოლედაც უპასა.

რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, მეკარეთაგან ყველაზე მეტად ლიგის საუკეთესო კარის დარაჯი მარტინ ბროდო დაჩაგრეს — „ნიუ ჯერსის" ლეგენდარულ კიპერს ექვსი შაიბა გაუტანეს.

**კახა ლომაშვილი**



## ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 12 — 22 იანვარი

X ტური

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | პიოტრ სვიდლერი (რუსეთი) |
| სერგეი კარიაკინი (უკრაინა) | 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| ალექსანდრ მოტილევი (რუსეთი) | 0,5:0,5 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | დავიდ ნავარა (ჩეხეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ალექსეი შიროვი (ესპანეთი) | 0,5:0,5 | რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) |

# ყავა, კოკა კოლა და რეიტინგი

**მეათე ტურში** ვესელინ ტოპალოვმა მეხუთე მატჩი მოიგო და მდევარს მთელი ქულით გადაუსწრო. ბულგარელის ასეთ აღმასვლას ზოგიერთმა ეჭვის თვალით შეხედა და მოჭადრაკის დოპინგშემოწმება მოითხოვა.

„არავითარ პრეპარატს არ ვიღებ. დილით ერთ ჭიქა ყავას ვსვამ, პარტიამდე — მეორეს. მთელი მატჩის მანძილზე კი კოკა-კოლას ვწრუპავ — განაცხადა ვესელინ ტოპალოვმა — აქ სათამაშოდ ჩამოვედი და იმედი მაქვს, რომ ჩემი რეიტინგი საკმაოდ აიწევს"

ტოპალოვს 16 წლის მაგნუს კარლსენის დამარცხება დიდად არ გასჭირვებია. ფიდეს რეიტინგის ლიდერმა პარტია ლაზიერის გამბიტით დაიწყო და უკანა ფლანგის გაძლიერებას შეუდგა. პატარა ვიკინგმა დედოფლის მხარეს გაიხედა, მძიმე არტილერია აქეთ გადმოსხა და თეთრებს შეუტია. იერიში მწვავე არ გამოდგა, ბულგარელმა იოლად გაუტეხა მეტოქე და 26-ე სვლაზე მეოთხე დამარცხება აგემა.

**ლაშა გეგეჭკორი**

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვესელინ ტოპალოვი | 7,5 |
| 2. | თეიმურ რაჯაბოვი | 6,5 |
| 3. | ლევონ არონიანი | 6,0 |
| 4. | ვლადიმირ კრამნიკი | 6,0 |
| 5. | პიოტრ სვიდლერი | 6,0 |
| 6. | ვიშვანათან ანანდი | 6,0 |
| 7. | სერგეი კარიაკინი | 5,0 |
| 8. | რუსლან პონომარიოვი | 5,0 |
| 9. | დავიდ ნავარა | 4,5 |
| 10. | ალექსანდრ მოტილევი | 4,0 |
| 11. | სერგეი ტივიაკოვი | 4,0 |
| 12. | ლუკ ვან ველი | 3,5 |
| 13. | მაგნუს კარლსენი | 3,0 |
| 14. | ალექსეი შიროვი | 3,0 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გოროზიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge